

თამარ მაჭუტაძე
თინა შიოშვილი

ქართული
და ფრანგული
ანდაზები

თარგმანებითა და შესიტყვებებით

PROVERBES GÉORGIENS
ET FRANÇAIS

avec leurs traductions et équivalents

ბათუმი

2023

რედაქტორი: **მაია ვარსიმაშვილი-რაფაელი**, ფილოლოგიის დოქტორი, პარიზის ალმოსავლურ ენათა და ცივილიზაციათა ინსტიტუტი. პარიზი-ნანტერის უნივერსიტეტის შედარებითი ლიტერატურისა და პოეტიკის კვლევის ცენტრისა და საფრანგეთის კომპარატივისტული ლიტერატურის ასოციაციის წევრი.

რეცენზენტები: **ნატალია სურგულაძე**, ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

თამარ გაგოშიძე, ფილოლოგიის დოქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი.

გარეკანის მხატვარი – გურამ გუჯაბიძე.

გამოცა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო გრანტის ფარგლებში.

ISBN 978-9941-8-6176-5

სტამბა „ფავორიტი სტილი“

📍 საქართველო, თბილისი, ა. ენუქიძის ქ. №5

☎ 032 2 500 580

ნიგნი „ქართული და ფრანგული ანდაზები (თარგმანებითა და შესიტყვევებით)“ ორი ნაწილისაგან შედგება: პარემიოლოგიისათვის მნიშვნელოვანი საკითხების კვლევა და ქართულ-ფრანგული ანდაზები შესიტყვევებითა და თარგმანებით.

კვლევით ნაწილში გაანალიზებულია ანდაზის როლი, მისი გენეზისი, ანდაზის მხატვრული სახეები. ასევე, წარმოდგენილია პირველი პარემიოლოგიური კრებულები.

კრებულის მეორე ნაწილში ქართული და ფრანგული ანდაზები კლასიფიცირებულია ლექსიკური, სემანტიკური, კოგნიტური ასპექტებით და გაერთიანებულია 100 თემატურ ჯგუფში; მოპოვებულია ქართული ანდაზების ფრანგული ანალოგიები და შესიტყვევები და თარგმნილია ისეთი ქართული ანდაზები ფრანგულად და ფრანგული ანდაზები ქართულად, რომელთა შესატყვისებაც კვლევის შედეგად ვერ იქნა ნაპოვნი. ამრიგად, კრებულის საშუალებით მკითხველი ეცნობა, როგორც ქართული ანდაზების თემატურ ჯგუფებს, ფრანგული ანდაზების შესიტყვევებითა და თარგმანებით, ასევე, ფრანგულ ანდაზებს ქართული თარგმანებით.

სიმბოლო „ \Rightarrow “ აღნიშნავს თარგმანს, სიმბოლოების გარეშე მოცემული ანდაზები – შესიტყვევებს.

The book «Georgian and French Proverbs (with Translations and Definitions)» is divided into two parts, each delving into significant topics within paremiology. The first part explores the essential role of proverbs, their genesis, the artistic forms they take, and the earliest paremiological collections. Additionally, it provides a thematically classified compilation of Georgian and French proverbs, accompanied by definitions and translations.

The proverbs are meticulously organized based on lexical, semantic, and cognitive aspects, bringing together 100 thematic groups. Through this classification, French analogies and expressions equivalent to Georgian proverbs are identified. Furthermore, Georgian proverbs are translated into French, and reciprocally, French proverbs are translated into Georgian. Notably, the research reveals matches where correspondences were previously undiscovered.

Consequently, the reader is taken on a journey through thematic groups of Georgian proverbs, enriched with definitions and translations of corresponding French proverbs. Simultaneously, the book presents French proverbs alongside their Georgian translations, providing a comprehensive exploration of the interconnectedness between these two linguistic and cultural traditions.

Symbol “ \Rightarrow ” denotes translation, proverbs given without symbols are equivalent.

„ქართველო, იარე ქართული ანდაზით,
გარეთ ატლასი, შიგნით ათასი,
გარეთაც სიმართლე, შიგნითაც სიმართლე
ატლასი, ატლასი,
ათასი, ათასი“.

(შოთა ნიშნიანიძე)

„ანდაზა მითხარ, ძმობილო,
ანდაზა აზრის ქობია,
სიტყვა ხორცია ამ ქობში,
მინდიას მოხარშულია,
ვინც იმას შესჭამს, ღმერთმანი,
ლექსის მთქმელზედაც მჯობია“.

(ხალხური)



„Les proverbes sont les lampes des mots“
(Proverbe Arabe)

„Les proverbes ressemblent aux papillons:
on attrape quelques-uns, les autres s’envolent“
(Proverbe Allemand)

„Les proverbes disent ce que le peuple pense“
(Proverbe Suédois)

„A tout proverbe on peut trouver sa chaussure“.
(Proverbe québécois)

„Un proverbe est quelquefois meilleur que deux bons avis“.
(proverbe français)

„Les mots sont des nains, et les proverbes des géants“.
(Proverbes d’Égypte)

„Lorsqu’on a appris le livre des proverbes, on n’a plus
d’efforts à faire pour parler“.
(proverbes chinois)



ანდაზის როლი, მისი გენეზისი, მხატვრული სახეები, კირველი კარემიოლოგიური კრებულები

ანდაზის როლი, მისი გენეზისი. „ფოლკლორი თავისი სპეციფიკითა და გენეზისით ყველაზე მასობრივი მოვლენაა მხატვრულ-ესთეტიკური შემოქმედების სფეროებს შორის. მის ჩამოყალიბებაში მონაწილეობდნენ და მონაწილეობენ სხვადასხვა ერები, თაობები, ბრძნული აზრებით დაჯილდოებული ადამიანები. საუკუნეების განმავლობაში ზეპირი გადაცემის ტრადიცია ხელს უწყობს მრავალფეროვნებას, სხვადასხვა ასაკისა და თაობის თანამშრომლობას, საერთო მიზნებით გაერთიანებას. კოლექტიურობა, მასობრიობა და ზეპირმეტყველება გამოარჩევს ხალხურ შემოქმედებას, აძლევს ამომწურავ შესაძლებლობებს, იყოს თანამედროვეც და მარადიულიც, მაღალესთეტიკური და ეთიკური, ყველასთვის ხელმისაწვდომი და გასაგები, მილიონობით ადამიანის განწყობის გადმომცემი, მიმართულების მაჩვენებელი,“ – წერს მკვლევარი ფიქრია ზანდუკელი (ზანდუკელი, 1980:182-205).

მხატვრული აზროვნება ისტორიულად ფოლკლორით იწყება; ცნობილია, რომ არსად, არც ერთ ქვეყანაში, სიტყვიერ კულტურას დასაწყისიდანვე ფიქსირებული ფორმა არ ჰქონია. იგი ხანგრძლივი გამოცდილების ბაზაზე აღმოცენდა და თაობიდან თაობას გადაეცემა.

ტრადიციული, ეროვნული ფოლკლორი ჟანრობრივი და თემატური სიმდიდრით ხასიათდება. ძველთან ერთად, მასში ახალი ნაკადიც შეიმჩნევა. მთელი ეს საუნჯე პლასტებად და პერიოდებად კი არ არის დალაგებული, ლიტერატურისა და ხელოვნების მსგავსად, არამედ იმავდროულად ერთიმეორის გვერდით განაგრძობს ზეპირმეტყველებაში არსებობას.

ფოლკლორი სტრუქტურულად რთული ფენომენია, მასში ერთიანდება სხვადასხვა მხრიდან მომდინარე კოლექტიური და ინდივიდუალური წარმოშობის ნაწარმოებები, მათი ვარიანტებად გარდაქმნა კი ზეპირმეტყველებაში მოქცევის შემდეგ იწყება. ხალხი

მართალ სიტყვას ეტრფის. მსმენელები აღფრთოვანებაში მოჰყავს ძარღვიან ფრაზას, მის მარჯვე გამოყენებას, გონებამახვილურ იდიომას, მოსწრებულ პასუხს, ენამზეობას, ზმებს, კალამბურს [ჩიქოვანი, 1986:45].

ბევრი ხალხური ძეგლი საოცრად სიცოცხლისუნარიანია და საუკუნეებს უძლებს როგორც ზეპირ შემოქმედებაში, ისე მწერლობაში, ხელოვნებაში. სწორედ, ამ უკანასკნელის წყალობით გვეძლევა შესაძლებლობა, გავარკვიოთ რა სტრუქტურა ახასიათებდა ადრე ფოლკლორულ ძეგლს; საილუსტრაციოდ ანდაზის ჟანრი მოვიშველიებთ.

ჯერ არავის დაუთვლია, რომელ ენაზე რამდენი ანდაზა არსებობს და რომელ ხალხს რამდენი ფილოსოფიური აზრით დატვირთული საანდაზო ფორმულა შეუქმნია, მაგრამ ერთი რამ ყველამ იცის: დედამიწის თითოეულ კუთხეში ათასეულობით ანდაზა არსებობს და ეს აურაცხელი საუნჯე საერთო მსოფლიო მემკვიდრეობას წარმოადგენს. პირველყოფილი საზოგადოებიდან მოყოლებული დღევანდელ კოსმიურ ერამდე შექმნილი სხარტი გამოთქმები პარალელურად ვრცელდებიან სხვადასხვა ენაზე.

ხალხის ფილოსოფია ანდაზებსა და მოსწრებულ გამოთქმებში ღრმადაა ჩაკირული. ანდაზა – პარემია აზრის გამოთქმის სიზუსტესა და ლაკონიურობაში უმაღლეს მწვერვალს აღწევს; ყოვლისმომცველად, ღრმად, დამტევად, ყველასათვის გასაგებად, თანაც სიტყვის უმკაცრესი ეკონომიურობით, ეხმიანება ყოველ წვრილმანსაც კი ადამიანის დაბადებიდან სიკვდილამდე, რითაც მისი შემოქმედი ხალხის ზნეობრივი მოძღვრის ფუნქციას ითავსებს.

ანდაზის შესწავლა უშუალოდ უკავშირდება ლინგვოკულტუროლოგიას, რომელიც იკვლევს ენის კულტურასა და ურთიერთქმედებას როგორც სინქრონიული, ისე დიაქრონიული ასპექტით, სადაც კულტურა განიხილება, როგორც ენის უმაღლესი ფორმა, როგორც აზროვნების საზრისულ კონცეპტთა სისტემა და აზროვნების სტრუქტურათა წარმომქმნელი.

ანდაზის არსი კარგად არის გაშლილი ლინგვოკულტუროლოგიურ ასპექტში იაკობ გოგებაშვილის სიტყვებით: „ხალხის მიერ დაგრო-

ვილი გამოცდილება, დაკვირვება, მთელი ერის ნაფიქრალი, ნაგრძნობი სიბრძნე, რწმენა, შეხედულება და ჭირ-ვარამი, ერის გონებამახვილობა, მისი ზნე, მისი ბუნება და ხასიათი ამ ერთნინადადებიან ნათქვამშია არეკლილი და დაკრისტალებული“ [გოგებაშვილი, 1990:12].

ანდაზის შექმნა წარმოუდგენელია ადრე მიღებული ცოდნის გათვალისწინების გარეშე; იგი წარმოიქმნება და გამოიყენება კომუნიკაციის ფარგლებში და მისი გაგების პრობლემა ყოველთვის იარსებებდა, ადამიანები რომ არ ემყარებოდნენ უკვე მიღებულ ცოდნას. ეთნოფსიქოლინგვისტიკა სამეტყველო მოქმედებას, ენობრივ ცნობიერებასა და კომუნიკაციის ეროვნულ სპეციფიკას იკვლევს და, მსგავსად ლინგვოკულტუროლოგიისა, მისი შესწავლის საგანი ეროვნული დისკურსია, ანუ ამ შემთხვევაში – ანდაზაა.

ამდენად, ანდაზის სიღრმისეული შესწავლა (ენასთან ერთად) მისი შემქმნელი ხალხის ეთნიკური (ყოფითი და მენტალური) თავისებურებების, მოცემულ მენტალურ სივრცეში დადგენილი აზროვნების კანონების, პრაქტიკულად, ეთნოფსიქოლოგიის შესწავლას გულისხმობს.

ენათმეცნიერთა მიერ ენისა და მეტყველების გარჩევამ, ენის ფუნქციონირების სემანტიკური და პრაგმატიკული ასპექტებისადმი ინტერესმა, სემიოტიკურმა კვლევებმა აშკარა გახადა, რომ ცალკეულ წინადადებაში კავშირების ტიპთა შესწავლა არ იყო საკმარისი ადამიანთა ურთიერთქმედების ასახსნელად. ამიტომაც კვლევა გასცდა წინადადების ფარგლებს, კერძოდ, იგი გადასწვდა მეტყველებას, როგორც სამეტყველო აქტთა ბმულ თანამიმდევრობას, რომელიც გამოხატულია სხვადასხვა ტექსტით და რომლის გაანალიზება სხვადასხვა ასპექტითაა აუცილებელი. ეს ასპექტები შეიძლება იყოს პრაგმატიკული, სემანტიკური, რეფერენტული. ამიტომაც ამ რაკურსითაც შესაძლებელია ანდაზის განხილვა და შესწავლა [ზანდუკელი, 1980:182].

ანდაზებს ხალხის საუნჯესაც უწოდებენ. მართლაც, ხალხური შემოქმედების არც ერთ სხვა ჟანრს არ შეუძლია, ასე სხარტად, ასე ლაკონიურად გადმოსცეს ხალხის სიბრძნე, მისი საოცარი დაკვირვების უნარი და მოქნილობა.

ანდაზის გამძლეობას, პოპულარობას ხელს უწყობს მისი ფრაზის სიმსუბუქე და სისადავე, რაც მიღწეულია ერთი მხრივ ფრაზის მარტივი არქიტექტონიკით, მეორე მხრივ კი ანდაზის ფრაზაში პოეტური დეტალების გართიმვის, ალიტერაციის გამოყენებით, რისი წყალობითაც ანდაზის სტრუქტურა მუსიკალურობას იძენს და ადვილად დასამახსოვრებელი ხდება.

ჯორჯ კლეიბერი აღნიშნავს: „Les proverbes «possèdent un sens qui leur est propre c'est celui d'une implication entre deux situations engageant les hommes; ils peuvent eux-mêmes connaître des emplois métaphoriques ou figurés». [Ansombre, 2000: 58].

ანდაზები ადამიანთა ურთიერთობის თავისებური ხატებია. ხალხური პოეტური აზროვნების აღნიშნული ჟანრი სხვადასხვა საკითხთა მთელ წყებას მოიცავს. თითოეულ მათგანზე არასრული წარმოდგენა, რა თქმა უნდა, აძნელებს ამ საკითხთა ერთობლიობაზე დამყარებული მეცნიერების – პარემიოლოგიის სრულყოფილ დაუფლებას.

სამეცნიერო ლიტერატურაში ანდაზის გენეზისთან დაკავშირებით ადგილი აქვს აზრთა სხვადასხვაობას. ცნობილი რუსი მეცნიერი, მითოლოგიური სკოლის ტიპური წარმომადგენელი თეოდორ ბუსლაევი ანდაზების წარმოშობას შორეული წარსულს მიაწერს; კონკრეტულად მათ აღმოცენებას ენისა და მითების საწყისებს უკავშირებს. ანდაზები, თ. ბუსლაევის აზრით, არის ქურუმების ბრძნული მეტყველება, რომელიც იქმნებოდა როგორც საიდუმლო აქტი და ფორმირებისთანავე გადაეცემოდა თაობიდან თაობას უცვლელი სახით. ძირითადად ამავე შეხედულებას იმეორებს გამოჩენილი ინგლისელი მეცნიერი ედუარდ ტეილორი. იგი ანდაზას იხილავს როგორც მტკიცედ შეკრულ ფორმულას, რომელიც ისტორიის ვრცელ მანძილზე უცვლელი სახით მომდინარეობს. ანდაზათა ეგრეთწოდებულმა არისტოკრატიული წარმოშობის თეორიამ შესამჩნევად გავრცელებული სახე მიიღო ი. სნეგირევის შრომებშიც. მისი შეხედულებითაც, ანდაზა უძველესი სამყაროს არისტოკრატ წინაპართაგან მომდინარე ბრძნული გამონათქვამებია, რომელიც ცხოვრების კანონების სახით გადაეცემა ხალხს [ბუსლაევი, 1862: 13]. ანდაზების წარმოშობის შე-

სახებ შარლოტ შაპირა აღნიშნავს, რომ ენის ისტორიის შექმნას ახლავს ანდაზების გამოჩენაც (შაპირა, 2000: 81).

ანდაზა თავისი წარმოშობით უტოლდება ხალხური პოეტური ხელოვნების სხვა ჟანრებს, რომელთა საწყისი შორეულ წარსულში უნდა ვეძიოთ, თუმცა იგი, როგორც პოეტური შემოქმედების სრულყოფილი ჟანრი, არაა ისეთი არქაული, როგორცაა შრომის სიმღერა, სანესჩვეულებო პოეზია, ზღაპრები, გამოცანები და სხვა.

ანდაზამ სრულყოფილ ფორმად ჩამოყალიბებამდე განვითარების ვრცელი გზა განვლო. ევოლუციის რთული პროცესი ჩვენ ასე გვესახება: პრიმიტიული საზოგადოებრივი ფორმაციის საფეხურზე, როდესაც ადამიანები უშუალო და გულუბრყვილო დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ გარემომცველი პირობების მიმართ, როდესაც თანდათანობით ცდილობენ ბუნების ძალთა დამორჩილებასა და თავიანთი სასიცოცხლო ინტერესებისათვის გამოყენებას, ყოველგვარი შორეული განჭვრეტის, ალეგორიზმისა და ქვეტექსტური გამიზნულობის გარეშე წარმოთქვამდნენ მარტივი სახის წინადადებებს. ამდენად, ანდაზის ფესვები ადამიანთა რეალური ცხოვრების ნიადაგზეა აღმოცენებული.

საზოგადოებრივი ცხოვრების უფრო მაღალ საფეხურზე კლასობრივი დიფერენციაციის პერიოდში ადამიანთა გონებრივი ჰორიზონტი ამალდდა. ამ გარემოებამ თავისთავად წარმოების წესის განვითარებას შეუწყო ხელი. უკვე საზოგადოება ორ, მკვეთრად განსხვავებულ, ნაწილად გაიყო – ძლიერმა სუსტი დაიმორჩილა, რის შედეგადაც ახალი სოციალური ურთიერთობა დამკვიდრდა. აღნიშნულმა სოციალურმა ძვრებმა ადამიანის ცნობიერებაში შესაბამისი რევოლუცია მოახდინა და პიროვნება არსებულ მდგომარეობასთან საბრძოლველად უფრო ენერგიულად განაწყო. ადამიანს გაუჩნდა უნარი განყენებული, აბსტრაქტული აზროვნებისა, რამაც განსაზღვრა ძირითადად საძიებელი ჟანრის ჩამოყალიბება-განვითარების პროცესი. მოსახლეობის დიფერენციაციის ამ ეტაპზე წინაკლასობრივი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი კი მარტივი სახის წარმონათქვამებია, რომლებიც პირდაპირი მნიშვნელობით იმუხტებიან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანდაზის ჟანრის ჩანასახოვან ფორმას წარმოადგენს მარტივი სახის წინადადებები, რომელთა შინაარსს და თემატიკას საზოგადოებრივი ცხოვრების დაბალ საფეხურზე მდგომი ხალხის უშუალო შთაბეჭდილებები შეადგენდა. ამ შთაბეჭდილებას ხალხის შრომითი ურთიერთობა და მათი პრაქტიკული გამოცდილება ასაზრდოებდა. მშრომელი ხალხის პრაქტიკული საქმიანობა აღნიშნულ ეტაპზე, როგორც ცნობილია, მეთევზეობა-მონადირეობით და პრიმიტიული მინათმოქმედების დომინანტობით ხასიათდება. საფიქრებელია, რომ სწორედ ამ ეპოქაში იქმნებოდა და მკვიდრდებოდა ჩვეულებრივი მნიშვნელობით და გაგებით შემდეგი ანდაზები:

- **თევზი თავიდან ყროლდება;**
- **თევზს ბოლოდან ვერ დაიჭერ;**
- **ვისაც თევზი უნდა, ფეხები სველი უნდა ჰქონდეს...**

ამ პირდაპირ თქმებში ფიქსირებული უნდა იყოს მშრომელი კაცის ყოველდღიური დაკვირვებით მიღებული გამოცდილება. ეს ჭეშმარიტებანი აქსიომათა ფორმით უნდა ყოფილიყო გაბატონებული პირველ ხანებში და არავითარი მეორეული ფუნქცია არ უნდა ჰქონოდა. საზოგადოების თანდათანობითი განვითარების შედეგად, ინტელექტუალური ზრდისა და ყურადღების გამახვილება-გამრავალფეროვნების საფუძველზე კი, ვფიქრობთ, ისინი იღებდნენ ახალ ჟღერადობას, გადატანით მნიშვნელობას და საბოლოოდ ფორმირდნენ ლაპიდარულ სიბრძნისეულ ფორმულებად – ანდაზებად.

ამგვარად, დროთა განმავლობაში, ხანგრძლივი განვითარების შედეგად სადა, პირდაპირი მნიშვნელობით ნახმარი მოკლე წინადადებიდან შეიქმნა ანდაზა, როგორც ხალხური მხატვრული შემოქმედების სრულყოფილი სახე.

უნდა ითქვას, რომ ჟამთა მსვლელობაში დამწერლობის განვითარებამ და სხვა მნიშვნელოვანმა ფაქტორებმა იმდენად განაპირობეს ანდაზის ჩანასახის დახვეწა, სტილიზება, რომ დღეისათვის ძნელი ხდება მათი პირვანდელი სახის აღდგენა. როდესაც ვსაუბრობთ ანდაზის წარმოშობაზე, ხაზს ვუსვამთ მისი ჩანასახის განვითარების რთულ საფეხურებს, მხედველობაში გვაქვს საერთოდ ჟანრის და არა

ცალკეული ანდაზის ფორმირება, რადგანაც გამორიცხული არაა, ზოგიერთ ანდაზას გაველო არა რთული გზა, არამედ უშუალო წინადადებიდან გადატანითი აზრით აღჭურვილიყო და მარტივად მიელო საანდაზო ფორმულის სახე.

ყოველი ანდაზის აღმოცენება აუცილებლად გარკვეულ კონკრეტულ გარემოებასთანაა დაკავშირებული. ქართულ და ფრანგულ ანდაზებში, ისევე, როგორც მსოფლიო პარემიოლოგიაში, გვხვდება ამოუხსნელი ნიმუშები, რომლებსაც ტრადიცია ანდაზებად გვთავაზობს, თუმცა აქ განზოგადოებული სიბრძნე არ არის წარმოდგენილი. მიზეზი ამოუხსნელობისა, წარმოშობის გაურკვეველობისა უნდა ვეძებოთ იმ სოციალური თუ ეკონომიკური ფაქტორების, კონკრეტული შემთხვევების მივიწყებაში, რომელთა ფონზეც ფორმირდებოდა თითოეული მათგანი.

ანდაზის წარმოშობა ხშირად კონკრეტულ გარემოებასთან არის დაკავშირებული. ზოგადად ძნელი არაა მთელი რიგი ანდაზების წარმოშობის დათარიღების დადგენა. რა თქმა უნდა, ეს თარიღები ათეული წლების ფარგლებში ვერ ეტევა და საუკუნეებსაც გადასწვდება. მაგალითად, შესაძლებლად მიგვაჩნია, გავარკვიოთ, თუ რომელ ეპოქაშია შექმნილი ანდაზა „ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“. გადმოცემით, მეფე თეიმურაზ მეორეს, ერეკლეს მამას, ჰყოლია მჭერმეტყველების გამო დაახლოებული ბერი – მანასე. როცა მეფე ამ ბერთან საუბარს დაამთავრებდა ხოლმე, დააყოლებდა: „ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“. ამ თქმამ შემდეგში გავრცელება ჰპოვა და დღეს იგი ანდაზათა კრებულში სრული უფლებით სარგებლობს. აქედან გამომდინარე, უფრო ადვილია ისტორიულ თემატიკაზე შექმნილი ანდაზების გენეზისის გარკვევა, რამდენადაც მათში უფრო მეტადაა დაცული ის სიმპტომები, თუ რასთან დაკავშირებით შეიძლება შექმნილიყო ესა თუ ის ანდაზა.

ყოველი მარტივი წინადადება მაშინ იქცევა ანდაზად, როცა მასში ძლიერად გამომჟღავნდება განზოგადება-აბსტრაქტიზების ტენდენცია, მისი გადატანითი მნიშვნელობა. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება ანდაზის მხოლოდ ფრაზული აგებულებიდან გამოვიდეთ. შეიძლება, წინადადება მარტივი სახით გაჩნდა პირველყოფილი თე-

მური წყობილების დროს, მაგრამ გადატანითი მნიშვნელობა მიიღო და ანდაზად იქცა ფეოდალიზმის ხანაში და ა. შ. ამდენად, აუცილებელია, ანდაზათა წარმოშობის დადგენისას ამოვიდეთ წინადადების გადატანითი მნიშვნელობით ხმარების მიჯნიდან, თუ ამისი დადგენა ხერხდება. ჩვენთვის სახელმძღვანელოა ანდაზის სატირიკული ყლე-რალობა და მთავარი შინაარსი.

ანდაზებში გადმოცემულია ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ყოფა-ცხოვრება თავისი დადებითი და უარყოფითი მოვლენებით. მათი შინაარსის გათვალისწინება მათივე წარმოქმნის ეპოქაზეც მიგვითითებს. მაგ. ანდაზების: „სისხლი სისხლით არ დაიბანება“, „სისხლი წყლით უნდა დაიბანოს“ და სხვათა შექმნა გვაროვნულ-ტომობრივი ურთიერთობის დაცემის ეპოქაში უნდა შექმნილიყო. შურისძიების სისხლით აღების ჩვეულებამ იმდენად მოქანცა ჩვენი წინაპრები, რომ ამ დრომოჭმული ტრადიციის წინააღმდეგ თვითონვე აიმაღლეს ხმა და მსგავსი ანდაზების სახით საუკეთესო ზნეობრივი „კოდექსი“ შეიმუშავეს.

ქრისტიანული ეპოქის ანდაზებია:

- **მომინება სამოთხის გასაღებიაო;**
- **კაცი რასაც აქ სიკეთეს იქს, იქ, საიქიოს, დახვდება;**
- **მარტო ლოცვით სამოთხეში არ შეისვლებაო;**
- **კაცი რომ კაცს მოერიოს, უნდა ღმერთი ახსენოსო;**
- **სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავსო;**
- **თუ ღმერთი მწყალობს, ეშმაკი რას დამაკლებსო...**

ქართული ანდაზების ერთ-ერთ ძირითად ფონდს ბატონისა და ყმა-გლეხის ურთიერთობის ამსახველი ნიმუშები შეადგენენ. თითოეული მათგანი გარკვეული სოციალური თვალსაზრისით ფეოდალიზმის ეპოქაში იქმნება და ამა თუ იმ კლასისათვის ნიშანდობლივი ტენდენციითაც ხასიათდება. მაგალითად:

- **მთა თუ იმ მთას ეცემა, ბატონისგან ჩვენც წყალობა მოგვეცემაო;**
- **კარებამდის არ მიგვეყვება ბატონანთ წყალობაო;**

- ვის უჩივი და ბატონსაო, ვისთან ჩივი და ბატონთანაო;
- ბატონი ცხენზე ვერ ჯდებოდა და მეჯინიბეს უწყრებო...

ეს ანდაზები, ცხადია, ბატონყმობის ეპოქას განეკუთვნება. ამავე პერიოდისაა ხალხურისაგან შინაარსობრივად და პოლიტიკურად განსხვავებული ანდაზები:

- ბატონის სურვილი ყმისათვის ბრძანებააო;
- შენი ბატონი ხიდად რომ გაგედვას, ზედ ნუ გაივლიო;
- ბატონმა რომ თქვას: მუხას ვაშლი ასხიაო, ყმავ, შენ დაიჯერეო;
- ბატონის საყვარელი გველი ყმისგან უბეში ჩასმას მოეღისო;
- ბატონი რომ ყმას უწყრება, იმედიაო;
- ბატონს ბატონურად მოექეცი, ყმას – ყმურადაო...

ვფიქრობთ, დაახლოებით ბოლო საუკუნეებით უნდა განისაზღვროს შემდეგ ანდაზათა წარმოშობა:

- შეუნდოს შენ მკვდარსა, ჩაუდოს ჩემ ყბასა;
- სახით მღვდელი, საქმით მგელი;
- სახელი მგლისა, სახრავი მღვდლისა;
- აზნაური ჭადს არა ჭამს, თუ მოშივდა, ჭირსაც მომჭამს;
- აზნაურის მოკითხული სუფრაზე არ დაიდებო;
- აზნაურის ხელობაო არის გვარიშვილობაო;
- არა გყავდეს მოახლეო, თავი მოიმოახლეო;
- აზნაურის სტუმრობაო ნუ გგონია ხუმრობაო...

არსებობს ანდაზათა წარმოქმნის ორი გზა: ხალხური და მნიგნობრულ-ლიტერატურული.

მთელი ეპოქების მანძილზე, დამწერლობის განვითარებამდე, ანდაზის ჟანრის ჩამოყალიბება-ფორმირება მხოლოდ და მხოლოდ ცხოვრების მრავალფეროვნებაზე უშუალო დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილების საფუძველზე ხორციელდებოდა:

- დიდ აღმართს დიდი დაღმართიც მოსდევსო;
- ვინც ძალს მოკლავს, იმანვე უნდა გადაათრიოსო;
- ვისაც თორნე ცხელი აქვს, პურსაც ის გამოაცხობსო...

ეროვნული ზეპირსიტყვიერების თანდათანობითმა განვითარებამ ხელი შეუწყო ქართულ ანდაზათა ფოლკლორული წარმოშობის მეორე გზას, რომელიც გენეტიკურად ხალხური სიტყვიერების სხვა რომელიმე ჟანრს უკავშირდება.

ფოლკლორული წარმოშობის ანდაზათა მიღების პირველი გზა შედარებით მარტივია. იგი, როგორც ითქვას, ცხოვრების მოვლენებზე უშუალო დაკვირვების შედეგად, დამოუკიდებლად მიღებულ ლოგიკურ დასკვნას წარმოადგენს.

ფოლკლორული წარმოშობის ანდაზათა მიღების მეორე ხერხმა შედარებით განსხვავებული გზა განვლო. ამ შემთხვევაში ანდაზები როდი წარმოადგენს გარემო სამყაროზე უშუალო დაკვირვებით მიღებულ ლოგიკურ დასკვნებს, პირიქით, ისინი ხალხური სიტყვიერების მდიდარ ფონდში რომელიმე მხატვრული ნაწარმოების მეშვეობით მკვიდრდებიან. ანდაზათა მიღების მეორე გზას ჩვენ, პირობითად, რთულ გზას ვუწოდებთ. სამამულო პარემიოლოგიაში რთული გზით მიღებული ანდაზებიც უხვად მოგვეპოვება. ამ სიუხვეს კი თვით ქართული ხალხური შემოქმედების ჟანრთა მრავალფეროვნება განაპირობებს; ჩვენს სინამდვილეში გვხვდება ანდაზები, რომლებიც მიღებულია ზღაპრებიდან, იუმორისტული ნოველებიდან ანუ ფაცვიციებიდან, იგავ-არაკებიდან, ხალხური ეპოსიდან და სხვა ჟანრებიდან.

ფოლკლორული წარმოშობის რთული გზით მიღებული ანდაზების უმრავლესობა ანეკდოტებისა და იგავ-არაკული ჟანრის ნაწარმოებებიდან მომდინარეობს. თავის მხრივ, რთული გზით მიღებული ანდაზა კიდევ სხვადასხვაგვარად წარმოიქმნება. პირველ შემთხვევაში საანდაზო კონტექსტი ხალხურ ნაწარმოებში უცვლელი სახით მეორდება: „ბატონი თავისი ყმით გზაზე მიდიოდა, წინ მდინარე შემოხვდათ, ხიდი კი არსად ჩანდა. ბატონმა ყმას უბრძანა: შედი, წყალი გაფონეო. სიტყვამოსწრებულმა ყმამ ოსტატურად უპასუხა: არა, შენი ჭირიმე, მე ბატონის წინ ფეხს როგორ წავდგამო. ბატონმა შეტოპა, წაიბორძიკა

და წყალმა წაიღო. ყმას დაუძახეს: უშველე, შენი ბატონი იხრჩობაო. ყმამ აქაც არ დააყოვნა თავისი სარკასტული იუმორი და მოსარჩლეს უპასუხა: „ბატონის ნებაა, თუ უნდა გამობრძანება, თუნდ არაო, თუნდ მაღლა იზამს ფეხებს, თუნდ დაბლაო“. ამგვარად არის მიღებული ანდაზები ქართულ ენაში:

- ისე გავიდა მარტო, ვერ მოკლა ციკნის ბარტყო (ლეგენდა);
- მერე მერისთვინაო, მე ერისთავი რისთვინაო(თქმულება);
- აბესალომ და ეთერი, ღმერთმა შეჰყარა ერთფერი (ეპოსი);
- ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო (გადმოცემა);
- ისეთი გოდორი დასწანი, რომ თქვენს შვილებსაც გამოადგესო (გადმოცემა);
- იბრუნოს მთის წვერს წისქვილმა, თუ წყალმა აატანაო (არაკი);
- ყეფითა და ყივილით სოფელი ვერ შენდებო (იგავი);
- ბევრი რად უნდა დედასა, ერთი სჯობს სახელოვანი (ისტორიული გადმოცემა)...

ანდაზები ფრანგულ ენაში:

- Mauvais herbe croit Soudan (იგავი);
- Le temps est un grand maître (Corneille, Sertorius) (პიესა);
- Sans la bilerte de blamer,
- Il n'est d'eloge flatteur (Beaumarchais-„Le mariage de Figaro) (ლიტერატურული);
- C'est folie de semer les roses aux pourceaux“ (სახარება);
- Pour un point Martin perdit son âne (თქმულება);
- Rouge le soir, blanc le matin
- C'est la journée du pélerine (ისტორიული გადმოცემა). (Fleury de Bellingen, 1656. Parodie des paroles de Jesus aux Pharisiens et aux Saduceens concernant l'état du ciel et la prévision du temps (Mattieu 16, 1-4). L'interprétation par le vin (rouge et blanc).

რთული გზით მიღებული ანდაზების მეორე წყება სხვაგვარ საფეხურებს გადაის. ისინი არ არიან უცვლელი სახის ორგანული ნაწილი ამა თუ იმ მხატვრული ჟანრის ნიმუშისა. ეს არის მთქმელის მიერ ფოლკლორული ნაწარმოების ძირითადი აზრის გადმოსაცემად შექმნილი წინადადებები. ანალოგიური სახის ანდაზები სამეცნიერო ლიტერატურაში ინვერსიულ ანდაზებად არის წოდებული.

ინვერსიული ანდაზების მიღების გზის გასათვალისწინებლად განვიხილოთ ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში ფართოდ გავრცელებული იგავ-არაკი ყვავის შესახებ:

- **კაცს ყვავი შემოხვდა და ეკითხება:**
 - კონკონინა ხომ არ შემოგხვედრია გზაზედაო?
 - კონკონინა არა, მაგრამ ყვავის ბახალა კი შემხვდაო, – მიუგო კაცმა.
 - ჰოდა ჩემი კონკონინაც, სწორედ, ეგ არისო, – უპასუხა გახარებულმა ყვავმა...

ამ იგავიდან მოდის მეტად პოპულარული ქართული ანდაზა: „ყვავსაც თავისი ბახალა მოსწონს“.

ამგვარად არის მიღებული შემდეგი ანდაზები:

- **მოლას არ უჯერებდნენ და მოლას ვირს კი – დიახო (ანეკდოტი);**
- **ნაცარქექია კერის ძირში გახელდაო (ზღაპარი);**
- **ნაცარქექია ცხენიდან ჩამოვარდა და მაინც უნდა ჩამოვსულიყავიო (ზღაპარი);**
- **საყდრის ამშენებლისთვის ხელები მოუჭრიათო... (ხალხური ლექსი).**

ფოლკლორული გზით მიღებული ანდაზების ნაირსახეობას წარმოადგენს ისეთი ანდაზა, რომელიც გამომდინარეობს ხალხური ნაწარმოების საერთო შინაარსიდან და ტექსტის ტენდენციას სულ ახალი ფორმით გვანდის. ამგვარი ანდაზის ნიმუშია „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“, რომელიც უკავშირდება ზღაპარს – „ნაცარქექია“.

როგორც აღვნიშნეთ, ანდაზების წარმოქმნის მეორე გზა არის ლიტერატურული. რომელიმე კონკრეტული პიროვნების მხატვრულ თუ სხვაგვარ თხზულებებში ვხვდებით ცალკეულ დასკვნებს, გამომდინარე ნაწარმოების საერთო ტენდენციიდან; ან კიდევ პერსონაჟების მეტყველებაში, დიალოგებში, ხშირად რემარკებში ჩართულია თვით მწერლის მიერ შეთხზული მოსწრებული ფრაზები, რომლებიც ანდაზის ნიშნებით ხასიათდება. მასების სულიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელი ეს თქმები მალევე პოულობს ხალხში ფართო გამოძახილს, დიდ რეზონანსს და სწრაფად ვრცელდება. აქაც საჭიროა ყურადღების შეჩერება იმ გარემოებაზე, რომ ლიტერატურიდან მიღებული ყველა ანდაზა ერთნაირ გზას არ გადის. ერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს ისეთ ანდაზებთან, რომლებიც ინდივიდუალური შემოქმედების ნიმუშებიდან უცვლელი სახით არის გავრცელებული. მაგალითად: „რა იციან, რომ ეს გული მკვდარია, რომ სიცილი ბევრჯერ ცრემლზე მწარეა“ და სხვა.

მეორე ციკლს ქმნის ანდაზები, რომლებიც ხალხში გავრცელებული ფორმით არ გვხვდება ლიტერატურულ ნაწარმოებში. ისინი წარმოადგენენ მწერლის გამონათქვამის სტილიზებას ხალხის მიერ. მაგალითად, „ასე იცის ჯაყომა, ამ ცხოვრების ჩაყოლა“ და სხვა.

ანდაზების ჩანასახოვან ფორმას წარმოადგენდა პირდაპირი მნიშვნელობის შემცველი მარტივი სახის წინადადებები, რომელთა შინაარსსა და თემატიკას საზოგადოებრივი ცხოვრების დაბალ საფეხურზე მდგომი ხალხის უშუალო შთაბეჭდილებები შეადგენდა. ამ შთაბეჭდილებას კი ხალხის შრომითი ურთიერთდამოკიდებულება და მათი პრაქტიკული გამოცდილება ასაზრდოებდა. აქედან გამომდინარე, ანდაზის ფესვები ადამიანთა რეალური ცხოვრების ნიადაგზეა აღმოცენებული.

ანდაზებმა თავდაპირველი ფორმიდან სრულყოფილ ჟანრად ჩამოყალიბებამდე ისტორიულად ვრცელი გზა განვლო. დროთა მდინარებამ, საზოგადოებრივი ცხოვრების თანდათანობითმა განვითარებამ, დიდმა სოციალურმა ძვრებმა და კონფლიქტებმა ადამიანს შესძინა უნარი განყენებული, აბსტრაქტული აზროვნებისა, რამაც ხელი შეუწყო ანდაზის ჟანრობრივ გაფორმებას.

ანდაზა ზეპირსიტყვიერების სპეციფიკური ჟანრია, მას ლექსით ან ზღაპარით გვიამბობენ, ანდაზას მთქმელი იყენებს საუბარში, ისინი გართიმულ ფრაზას წარმოადგენს, მდიდარია შინაარსით, ლაკონიურობით და უტოლდება იგავ-არაკს. „ანდაზას აქვს ორი ჰაზრი: პირდაპირი და „ზნეობრივი“ [გოგებაშვილი, 1990:7]

ანდაზა, მოკლე სიტყვიერ ფორმულაში გამომხატული ბრძნული ნათქვამია, რომელსაც გადატანითი მნიშვნელობა აქვს და ცხოვრებისეულ მოვლენებს მხატვრულ სახეებში გადმოგვცემს.

ფოლკლორისტი თეიმურაზ ჯაგოდნიშვილი აღნიშნავს, რომ: „ანდაზას ძირითადად ხალხი ქმნის. მას წარმომავლობის სამი წყარო აქვს: ერთი – ცხოვრებისეული პრაქტიკა, ანუ ადამიანი მისდაუნებურად ქმნის ანდაზას, რალაცნაირად წარმოთქვამს, მეორე ვილაც მოისმენს, გაიმეორებს და ასე გაგრძელდება პროცესი. მეორე და მნიშვნელოვანი წყარო, ეს არის ლიტერატურა, მწერლობა. ნიჭიერი მწერლის გამონათქვამი, რომელსაც ჩვენ შეიძლება მაქსიმა ვუწოდოთ ან აფორიზმი, მოგვიანებით ანდაზად იქცევა. ჩვენში „ვეფხისტყაოსნის“ დიდი პოპულარობის გამო, შოთა რუსთაველის აფორიზმები ანდაზებში არ გაითქვიფა. თორემ, „ლექვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“ თავისი ორწევრა შემადგენლობით ანდაზაა. მესამე პირობა ეს არის უცხოენოვანი გავლენა. მხედველობაში გვაქვს კულტურული გავლენა. ადამიანები, ბუნებრივია, მეზობლობენ და კულტურული ზეგავლენაც საძრახისად არ უნდა ჩავთვალოთ. რომელიმე ერის მოხდენილი ანდაზა ასე გადმოდის და ვრცელდება ჩვენში (<http://www.ambioni.ge/rogor-aisaxa-tanamedroveoba-andazebsi>).

ანდაზის გავრცელების ფორმა ზეპირია. მართალია, მეცნიერული მიზნით არსებობს ანდაზათა ტექსტების გამოცემები, მაგრამ მისი ცხოველმყოფელობა და დიდი ძალა იმაშია, რომ ის ხალხს ზეპირად ახსოვს და მას გამოიყენებს თავის ყოველდღიურ სასაუბრო მეტყველებაში. ადამიანი, რაც უფრო მეტად გამოიყენებს ანდაზას, ცხადია, მისი მეტყველება უფრო ლაკონიურია და შინაარსობრივი, რადგან ანდაზა ხშირად ისეთი შინაარსის მქონეა, რომლის აღწერის გზით გადმოცემასაც რამდენიმე გვერდი სჭირდება. მაგალითად, ანდაზის, „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი“ შინაარსობ-

რივი გაშლა რომ მოვინადინოთ, შესაძლოა, დიდი რომანიც კი გამოგვივიდეს. ჯერ იმის ახსნით – რატომ მწყერი, შემდეგ მისი არშეჯდომა ხეზე. მეორეც, რატომ არის მწყრის ქმედებასთან დაკავშირებული ადამიანის იმდაგვარი ქმედება, რომელსაც ის იმიტომ ვერ და არ სჩადის, რომ მას ჯიშით, მოდგმით არ უნერია, ანუ ადამიანს რაც არ აქვს ჩვევასა და გენეტიკაში, დაახლოებით იმას რომ ვერ ჩაიდენს და ვერც ვერასდროს გააკეთებინებს. ანდაზა ამ სათქმელს ძალიან მოკლედ გადმოსცემს. ბუნებრივია, როდესაც ამას ვამბობთ, არც მწყერი გვიდგება თვალწინ, არც – მისი აფრენის და ხეზე შეჯდომის წარუმატებელი მცდელობანი. ადამიანის ცნობიერებაში შემოდის დასრულებული სურათი, სახე-სიბოლო, რომელიც რაღაც ადამიანურ უნარსა და თვისებებზე მიგვითითებს. ამაშია ანდაზის ძალა“ (<http://www.ambioni.ge/rogor-aisaxa-tanamedroveoba-andazebsi>).

ანდაზა და სხვა გენეტიკურად მონათესავე გამონათქვამები

ანდაზების წარმოშობის ისტორიაში არცთუ იშვიათია ისეთი მომენტებიც, როცა ანდაზა სხვა რომელიმე ფოლკლორული ჟანრიდან წარმოიქმნა (ნოველა, ლეგენდა, ისტორიული ამბავი, არაკი, იგავი და სხვა). ამიტომაც, ბუნებრივია, ანდაზებში ხშირად არის შერეული სხვადასხვა გამონათქვამები: აფორიზმები, სენტენცია, ცნობილ მწერალთა ფრაზები და ა. შ. ეს იმიტომ ხდება, რომ ანდაზა გენეტიკურ კავშირშია იგავთან; ანდაზებისაგან ხშირად სიტყვის მასალაა წარმოშობილი. ბევრი გამონათქვამი კი ცნობილი ანდაზის ანასხლეტია. ასე მაგალითად: „გადაადგეს ზღვაში თევზი“ – დაკავშირებულია ანდაზასთან ლოქო დასაჯეს და წყალში გადადგესო“ ან თქმა „გაცემულ სიკეთეს ხალხი არ ივიწყებს“, კავშირშია ანდაზასთან: „სიკეთე ქენ – ქვაზე დადე, გამოივლი, წინ დაგხედება“.

არსებობს, ასევე, შინაარსობრივად ახლოს მყოფი ანდაზები. მაგ:

- „ღორის თავი ხალიჩაზე დადგეს, იგორა, იგორა, იგორა და ისევ ლაფში ჩაფარდაო“.
- „ბაყაყი ხალიჩაზე დააბრძანეს, ისკუბა და ისევ გუბეში ჩახტაო“.
- „თავს ბუმბულში აწვენდნენ და თავი სოროში გარბოდაო...“

ეს ანდაზები შინაარსობრივად ახლოს არიან ერთმანეთთან, მაგრამ, ამავე დროს, ყოველი მათგანი დამოუკიდებლად არსებული ანდაზა – ინვარიანტებია.

მართალია, სიტყვის მასალა, იგავი, ხალხური ლექსი, მოსწრებულის თქმები და სხვა იმდენად მჭიდროდაა დაკავშირებული ანდაზასთან, რომ მათი გამოყოფა ზოგჯერ ჭირს, მაგრამ, როგორც რთულადაც არ უნდა იყოს გადახლართული ანდაზასთან მისგან მომდინარე თუ მისგან წარმოშობილი ან მომიჯნავე სხვა ჟანრები, ანდაზა მაინც დამოუკიდებელი ენობრივი ფენომენია. ანდაზის რაობის გარკვევა მის სპეციფიკაში ჩანვდომა, მისი ბუნების შეცნობა შეგვაძლებინებს განვსაზღვროთ, რომ ანდაზა ხალხური შემოქმედებაა, მხატვრული ნაწარმოებია. ის მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა პარემიული ფორმებისაგან, მაშინ როდესაც ყველა სხვა სახის ნაწარმოები (ზღაპარი, ლექსი, იგავი, ნაწილობრივ გამოცანა). გაბმული ტექსტი, კი ხშირ შემთხვევაში რამდენიმე წინადადებას მაინც წარმოადგენს, ანდაზა კი ერთი წინადადებით არის წარმოდგენილი; ცხადად, ლაკონიურად გადმოცემა აზრისა, გადმოსაცემი შინაარსის ერთი წინადადებაში მოქცევა ანდაზისთვის მეტად ნიშანდობლივია.

ანდაზას აქვს მეორე მნიშვნელოვანი მხარეც. მასში კონკრეტულ ფაქტზეა ლაპარაკი, მაგრამ ამ კონკრეტული შინაარსის მიღმა ზოგადი აზრი იგულისხმება. ამ ზოგად აზრში ვგულისხმობთ იგავურად მინიშნებულ დარიგებას. ამ ნიშნით განსხვავდება ანდაზა თქმისაგან. თუ გამონათქვამს არ ახლავს აზრის განზოგადებისა და მისი გადატანითი მნიშვნელობით ხმარების უნარი, იგი თქმაა და არა ანდაზა. მაგ: ძალიან ბრძნულად და მოსწრებულად უთქვამს ხალხს: „რამდენიც ვინმე მოგვიკვდა, იმდენი გულს ჩამოეთალაო“.

ანდაზა უპირატესად დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი შინაარსისაა. საგულისხმოა ანდაზის კიდევ ერთი თვისება: ანდაზაში თხრობითი მხარე უაღრესად შეკუმშულია, შემჭიდროებულია; როგორც კი თხრობის ელემენტი ოდნავადაც კი გავრცელდება, გაფართოვდება, ანდაზურობა იკარგება, ანდაზა იგავს ემსგავსება, იგავის სახეს იღებს.

აზრის გადატანის მნიშვნელობით ორგანული კავშირია ანდაზასა და იგავს შორის, რადგან ანდაზის სპეციფიკას შეადგენს იგავური ბუ-

ნება, რაც აფერხებს მცირე ზომის იგავებისა და ანდაზების განცალკევებას, თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ იგავს სიუჟეტური ქარგა გააჩნია. მაგ.: „აქლემი გადავარდა, ვირმა ყროყინი მორთო“ – ანდაზაა, მაგრამ ეს კი აღარაა ანდაზა: „აქლემი კლდეზე გადავარდა, ვირმა ყროყინი დაიწყო, ვირს ცემა დაუნყეს „რა გაყროყინებსო“ „ის მაყროყინებს, რომ იმ აქლემს მე ამომაზიდვინებენო“. ე. ი. ანდაზაში არ შეიძლება იყოს თხრობა. ეს არის თქმა, რალაცა ფაქტის განზოგადებული დასახელება, თუ შეიძლება ასე ითქვას, მაგრამ არამც და არამც ამბავი, თხრობა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ამ ბრძნული ჟანრის ასეთი განსაზღვრება შეიძლება მივიღოთ: ანდაზა ხალხის ხანგრძლივ გამოცდილებასა და დაკვირვებაზე დამყარებული ერთნადადებიანი მხატვრული ნაწარმოებია, რომელიც ნართაულად მიგვანიშნებს კონკრეტული შინაარსის მიღმა არსებულ ზოგად აზრზე და, ამდენად, სასაუბრო ობიექტს უშუალოდ კი არ ეხება, არამედ ირიბად, კონკრეტული სახის შუამავლობით, გადატანით, მინიშნებით, იგავურად.

აღსანიშნავია, აგრეთვე, ანდაზის ცვალებადობის ზოგიერთი ფაქტი, კერძოდ:

1. „სიღნაღი ისე არ დადაბლდება, საქათმის სიმალლე აღარ იყოს“;
2. „სიღნაღი ისე არ ნაიქცევა, საქობომდე არ მოვიდესო“...

პირველ ფრაზაში დარჩენილი უნდა იყოს ძველი მნიშვნელობა. სახელდობრ, მე-17 ს-ში „სიღნაღი“ ნიშნავდა სამხედრო თავდაცვის სათვის გამაგრებულ ადგილს – არხით შემოზღუდულ მინაყრილს. მაგრამ მეორე ანდაზაში „სიღნაღი“ განიხილება, როგორც მოზრდილი ქალაქი და იგი სოფელ საქობოსთანაა შეპირისპირებული, რომელიც სიღნაღთან შედარებით მცირე მოცულობისაა.

ზოგჯერ ერთ რომელიმე კუთხეში გავრცელებული ანდაზა, მეორე კუთხეში სხვაგვარადაა გააზრებული. მაგ.:

- „თუ გული გულობს ქადა ორი ხელით იჭმევასო“.

ლაპარაკია ქადასა და ქადის გულზე და ანდაზაც ამას ამბობს: თუ ქადის გული კარგია, გულად ვარგისია, ისეთია, როგორიც უნდა

იყოს გული (ფხვიერია გული და იბნევა) ქადას ორივე ხელი სჭირდება საჭმელად (აღმოსავლეთ საქართველოში).

დასავლეთ საქართველოში ქადა და მისი გული არცთუ ისე ცნობილია მისი თვისებებით. ამიტომ თავისებურად გაიგეს ეს ანდაზაც, კერძოდ ასე: თუ გულით გინდა, თუ გულით ეკიდები, თუ გულით მოინდომებ, საქმე გამოგივაო. ამ ანდაზის ასეთი გაგების შედეგად გაჩნდა ვარიანტი „თუ გული გულობს ადამიანი ქადას ერთი ხელით ორს აიღებსო“.

არსებობს, აგრეთვე, ლიტერატურული ანდაზები. მწერლის მოსწრებულად, გონებამახვილურად ნათქვამ, გადატანითი აზრის შემცველ თქმას შეიძლება მიეცეს ზოგადი აზრი, აღიჭურვოს კონტექსტისაგან დამოუკიდებლად არსებობის უნარით, ხალხში გავიდეს და ანდაზად იქცეს. ლიტერატურული ანდაზები, ხალხში გასული ან ხალხისგან აღებული და მათ პოეტურ ლაბორატორიაში თავისებურად გადამუშავებული, ისევ ხალხში დაბრუნებულ ანდაზებად იქცევა.

ჩვეულებრივ ლიტერატურული ფრაზა ძნელად იცვლება, დიდხანს ინარჩუნებს თავის სახეს, მაგრამ ნელ-ნელა მაინც შეიძლება შეიცვალოს, ხალხური ანდაზის ყაიდაზე გარდაიქმნას. იცვლება სიტყვათა რიგი, მარტივდება წინადადება, იხსნება კავშირები, რომელიმე ლიტერატურულ სიტყვას ხალხური ჩაენაცვლება და ა. შ. ე. ი. ფრაზას დაეცემა ხალხში ხმარების, ანუ გახალხურების კვალი.

„ხალხური სიბრძნის“ მე-5 ტომის წინასიტყვაობაში ლ. ლეჟავა ხაზგასმით მიუთითებს, რომ ხშირია შემთხვევა, როცა მეტყველებაში ანდაზისა და აფორიზმის ადგილს იჭერს ხალხური ლექსის სტრიქონი, ე. წ. „საანდაზო ლექსები“, მაგრამ ამ გამონათქვამებს აკლია ანდაზის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი – განზოგადების უნარი, ამიტომ მათი აზრის გადატანითობაც შედარებით შეზღუდულია [ლეჟავა, 1965: 57].

არსებობს ანდაზასთან ძალიან ახლოს მდგომი მოსწრებული ფრაზა, ეგრეთწოდებული სიტყვის მასალა, რომელიც უშუალოდ სასაუბრო ობიექტზე მიუთითებს, მასზეა მიმართული და მას ახასიათებს.

სიტყვის მასალას ანდაზად ქცევამდე თითქოს აკლია სუბიექტი და ასეთად იგულისხმება ის კონკრეტული პირი, ვის მიმართაც ესა თუ ის სიტყვის მასალაა. ამიტომ იგი შეიძლება სამსავე პირში გამოიყენებოდეს, მაგ.: „ცა ქუდად არ მიაჩნია“ (მიგაჩნია, მიმარჩნია).

ანდაზასა და სიტყვის მასალათა შორის მსგავსება-განსხვავებათა ძიებას საკმაოდ დიდი წარსული აქვს. ამ თვალსაზრისით საინტერესო მუშაობა აქვს ჩატარებული ცნობილ ენათმეცნიერებს: ა. პოტებნიასა და ვ. დალს.

ანდაზა და სიტყვის მასალა იმდენად მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, რომ ზოგჯერ საკმარისია მხოლოდ ერთი სიტყვის მიმატება ან გადაადგილება, რომ ერთმანეთში გადავიდნენ. (<http://feb-web.ru/feb/litenc/encyclp/le9/le9-1722.htm>).

მ. ჩიქოვანი ამის შესახებ აღნიშნავდა: „ანდაზა ყოველთვის დასრულებულ აზრს, ზოგად ფორმულას და სინტაქსურად სრულ ერთეულს წარმოადგენს. მოსწრებული სიტყვა კი იძლევა კონკრეტულ მითითებას, გადმოიცემა წინადადების ერთი ნაწილით“ [ჩიქოვანი, 1986: 18]. მაგ.:

- **„ძალი ახსენე, ჯოხი ხელში დაიკავეო, (ანდაზა);**
- **„ძალი ხსენებაზეო“ (სიტყვის მასალა);**
- **„ხევი ისე მოვიარე ერთი კენჭიც არ დამინახავსო“ (ანდაზა);**
- **„რიყეზე ქვა დაეკარგება“ (სიტყვის მასალა)...**

ანდაზა და სიტყვის მასალა ხალხური პოეტური შემოქმედების მეტად საყურადღებო და საინტერესო სახეებია. მათი ურთიერთმიმართება და კავშირი იმდენად მჭიდროა, რომ ზოგჯერ ჭირს კიდევ ერთმანეთისგან გამიჯვნა. ამიტომაც ანდაზათა კრებულებში ძალიან ხშირად შეტანილია სიტყვის მასალები და პირიქით... ამ გარემოებას გარკვეული საფუძველი გააჩნია. თითოეული მათგანის შინაგანი ბუნება და ხასიათი ერთმანეთისაგან გამიჯვნის აუცილებლობაზე მიგვითითებს. საკითხის გარკვევისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ორივე ჟანრის ცნებათა განმარტებას ენიჭება. უპირველესად, განესაზღვროთ, რა არის ანდაზა.

ანდაზას ორგვარი მნიშვნელობა გააჩნია: პირველადი, ანუ ამოსავალი და მეორეული, ანუ გადატანილი. ანდაზის ამ ორგვარი მნიშვნელობით წაკითხვათა შორის თვისობრივი განსხვავება დიდია. ანდაზის ამოსავალი მნიშვნელობით წაკითხვის შემთხვევაში საქმე გვაქვს უბრალო ფრაზასთან, სადაც აზრი გამართულად, თანმიმდევრულად

არის განვითარებული; მოცემულ ეტაპზე წინადადება არ წარმოადგენს საკუთრივ ანდაზას. ამ უკანასკნელად წინადადება აზრის მხოლოდ და მხოლოდ მეორეული, ანუ გადატანითი მნიშვნელობით დატვირთვის შემთხვევაში იქცევა, ე. ი. წინადადება, რომელშიც მოცემულია პირდაპირი აზრის გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებული პოტენცია, ანდაზად გახდომის ტენდენციას ამჟღავნებს.

ნათქვამის საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ კონკრეტული ფრაზის ამოსავალსა და გადატანითი მნიშვნელობით წაკითხვას შორის განსხვავებას ნართაულობა ქმნის. ერთ შემთხვევაში, როცა წინადადების შინაარსი დაცლილია ყოველგვარი ნართაულობისაგან, ის უბრალოდ, პირდაპირი მნიშვნელობით გაგებულ აზრს გადმოგვცემს. მეორე შემთხვევაში კი აზრის ნართაული გაგება ამოსავალი მნიშვნელობით ნახმარ წინადადებას ანდაზად აქცევს. მაშასადამე, ანდაზის ჟანრის ერთ-ერთი და, ამავე დროს, არსებითი ნიშანი აზრის ნართაულობაა.

წინადადების ამოსავალ მნიშვნელობას კერძო, კონკრეტული ფაქტი თუ მოქმედება აძლევს შინაარსს. „სავსებით კონკრეტული შინაარსით წარმოდგენილი თქმა მაშინ იქცევა ანდაზად, როდესაც ამ კონკრეტულის მიღმა, თუ უფრო ზოგადი იგულისხმება... თქმები ანდაზებად იქცევიან მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელი იქნება ამ კონკრეტულ შინაარსში მოთავსებული აზრის გადატანა სხვა ვითარებაზე“... [კიკნაძე, 1953:177].

ანდაზისათვის დამახასიათებელია ზოგადი ხასიათის მსჯელობის კონკრეტულ ფორმაში გამოხატვა, განზოგადება, რაც ანდაზის ფორმის მეორე სპეციფიკურ ნიშანს წარმოადგენს. იგი პირველთან (ნართაულობასთან) უშუალო კონტაქტშია.

საანდაზო წინადადების ნართაულობა თავისთავად ანდაზის იგავურ ბუნებაზე მიუთითებს, რაც განზოგადებული აზრის, შინაარსის კერძო ფაქტებით, ინდივიდუალური სახეებით წარმოდგენას გულისხმობს. შინაარსის ამგვარი გზით წარმოსახვის მიხედვით, იგავ-არაკულ ჟანრსა და ანდაზის ჟანრს შორის დიდი მსგავსებაა.

იგავისა და ანდაზის ურთიერთ სიახლოვეზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ მრავალი ანდაზა იგავ-არაკული ჟანრის ნაწარმო-

ებთან გენეტიკურ კავშირშია. ამიტომაც შემთხვევით როდია, როცა სულხან-საბა ორბელიანი „სიბრძნე სიცრუისაში“ ბრძანებს: „არაკად თქმულაო“ და ანდაზას გვანვდის პერსონაჟისეული ნარატივის დასკვნით ფრაზად.

ა. პოტებნია იგავ-არაკებიდან ანდაზათა წარმოქმნის ორ გზას გამოკვეთს. ერთ შემთხვევაში ანდაზად იქცევა იგავ-არაკის ერთი ძირითადი გამონათქვამი, რომლის ანდაზურ გააზრებაში ნაწარმოების შინაარსი ლებულობს მონაწილეობას. მეორე შემთხვევაში ანდაზად იქცევა იგავ-არაკის არა ცალკეული გამონათქვამი, არამედ მთელი შინაარსიდან გამომდინარე აზრი“ [პოტებნია 1976:27].

რა ქმნის ძირითად განსხვავებას იგავარაკულ ჟანრსა და ანდაზას შორის?! პასუხი ნათელია: ტექსტის ოდენობა, შინაარსის გადმოცემის ფორმა. პირველ შემთხვევაში (იგავ-არაკთან დაკავშირებით) თუ საქმე გვაქვს მოკლე, მაგრამ საკმაოდ გაბმულ ტესტთან, მეორე შემთხვევაში (ანდაზასთან დაკავშირებით) შინაარსი მხოლოდ ერთი წინადადების ფარგლებში ექცევა. მაშასადამე, „ანდაზის იგავისაგან განმასხვავებელ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ გადმოსაცემი შინაარსი ერთ წინადადებაშია მოქცეული“ [ერთელაშვილი, 1957:105].

ანდაზის ერთ-ერთ სპეციფიკურ ნიშანს, აგრეთვე, ფრაზის ზნეობრივი შინაარსი წარმოადგენს. თითოეულ მათგანში კონკრეტული ფაქტის პოეტური ამაღლების გზით მიღებული ზოგადი შინაარსი საბოლოოდ დიდაქტიკურ-დამრიგებლობითი დანიშნულებით არის შენიღბული. ანდაზების საზოგადოებრივი მნიშვნელობა, ნაწილობრივ, ჟანრის სწორედ ამ ნიშან-თვისებაზეა დამოკიდებული. საანდაზო წინადადებისათვის (იმისგან დამოუკიდებლად, მარტივი იქნება იგი, თუ რთული) ძირითადად ორწევრიანობაა დამახასიათებელი. მათ შორის ურთიერთობა მიზეზ-შედეგობრივი კავშირითაა გამოხატული. მსჯელობა, აზრი მასში დაპირისპირების, შედარების ან სხვა რომელიმე სტილისტური ხერხის მომარჯვებით არის განვითარებული.

საანდაზო ფრაზის პოეტური ენით გამართვა – გადმოცემა ნაწარმოების იდეური შინაარსის ოსტატურად გახსნისა და მაღალმხატვრულობისთვის არის გამიზნული. ანდაზის მხატვრულობას, მის ძარღვიანობას ხელს უწყობს, აგრეთვე, მუსიკალური ჟღერადობის

კომპლექსი, რომელიც ალიტერაცია-ასონანსის, რითმა-რიტმიკისა და სხვა დეტალების ერთობლიობის პრინციპზეა აღმოცენებული. ერთი შეხედვით, მელოდიურობა, ჰარმონიული მდინარეობა თითქოს მხოლოდ ლექსითი ფორმის, ანუ გართიმული ანდაზებისათვის არის ნიშანდობლივი, მაგრამ ამგვარი შინაგანი ჰარმონია პროზაული ფორმის ანდაზებშიც შეიმჩნევა, თუმცა – გაცილებით სუსტად; ამ უკანასკნელში მუსიკალური ჟღერადობა ალიტერაცია-ასონანს-კონსონანსის „შეუმჩნეველ შეხმატკბილებაზეა“ აგებული.

საანდაზო წინადადებაში მუსიკალობა და მელოდიურობა შემხვევითი ფაქტორი არაა. ამდენად, ჟანრის სხვა სპეციფიკურ ნიშანთვისებათა შორის იგი მკვიდრ ადგილს იჭერს.

აქვე ყურადღებას გავამახვილებთ ორიოდე მომენტზე, რომელიც ანდაზებთან დაკავშირებით იჩენს თავს. ძნელია, საქართველოს რომელიმე კუთხეში იპოვოთ ისეთი მთქმელი, რომელიც ანდაზებს შესრულების იმდაგვარივე წესით მოგასმენინებთ, როგორადაც ხალხური სიტყვიერების ყველა დანარჩენი ჟანრის ნაწარმოებებს: ზღაპრებს, ლექსებს, გამოცანებს, შელოცვებს და სხვა.

რთულია ანდაზათა შეგროვებაც. ამ სირთულეს ჟანრისათვის ნიშანდობლივი სპეციფიკა – შესრულების წესის თავისებურება განაპირობებს.

მაშასადამე, ანდაზა ხალხში გავრცელებულია იმდენად, რამდენადაც სასაუბრო ენაში გარკვეული აზრის შესატყვისი ელფერით დადასტურებისთვის არის გამოყენებული. შესრულების წესის თავისებურება, ანდაზის ჟანრის ერთ-ერთ, მართალია, არაარსებით, მაგრამ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს.

ანდაზის ჟანრისათვის ნიშანდობლივი უკანასკნელი თავისებურებიდან ნიშნიდან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: ანდაზას მნიშვნელობა, ძირითადად წინადადების კონტექსტში ეძლევა. საანდაზო ფორმულა, თავისთავად აღებული, ნაკლებად მეტყველია; მასში მოცემულია მშრალი შინაარსი, რომელსაც ერთდროულად ზოგადაზრობრივი განფენილობის მრავალი შესაძლებლობა მოეპოვება. აღნიშნული გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ ანდაზა მრავა-

ლი ფუნქციის შემცველია. ეს უკანასკნელი ნიშანი კი მხოლოდ ანდაზის ფანრის კუთვნილებას წარმოადგენს.

როგორც აღვნიშნეთ, ანდაზასთან, ფორმისა და შინაარსის მიხედვით, ახლოს დგას სიტყვის მასალა, რომელსაც ჩვენში ძალიან ხშირად მოსწრებულ თქმასაც უწოდებენ. რა არის სიტყვის მასალა? ანდაზისა და სიტყვის მასალის სპეციფიკური ნიშან-თვისებების შედარება-დაპირისპირებით მსგავსი და განსხვავებული მომენტების დაძებნა ყველაზე რეალურ შესაძლებლობას იძლევა დასმული საკითხის გასარკვევად.

ანდაზა-სიტყვის მასალათა შორის მსგავსება-განსხვავებათა ძიებას საკმაოდ დიდი წარსული აქვს. ამ თვალსაზრისით საინტერესო მუშაობა აქვს ჩატარებული ა. პოტებნიას. მკვლევარი მათ შორის არსებულ განსხვავებას იგავ-არაკისა და სიმბოლოს შორის არსებული სხვაობით ზომავდა: „ანდაზური თქმა, ისევე როგორც სიმბოლო, პირთა და მოქმედებათა რთული გადაჯაჭვის პოეტური, ე. ი. ქარაგმული, სახე როდია, არამედ ამ ჯაჭვის ერთ-ერთი ელემენტის, მამასა-დამე, ცალკე აღებული პირის, თვისების, მოქმედების სახე გახლავთ. თუ ეს ასეა, მაშინ ეს ფორმულა იგავ-არაკისა და ანდაზის ელემენტია; იგი ნაწილობრივ იგავ-არაკისა და ანდაზისაგან წარმოიქმნება, როგორც მათი ნაშთი, მათი შედეგება, ნაწილობრივ კი სიტყვის მასალა ანდაზამდე ვერ ვითარდება. მაგალითად, თუ ჩვენ ვინმეს შესახებ ვიტყვით, რომ ის „ავი ძაღლია“ – ეს ანდაზური თქმა იქნება.

იმავე მკვლევრის თვალსაზრისით, სიტყვის მასალას მიეკუთვნება ისეთი გამონათქვამებიც, რომლებიც გარკვეული, კერძო, ინდივიდუალური სახის დახასიათებას იძლევა.

როგორც ჩანს, ა. პოტებნია ანდაზასა და სიტყვის მასალას შორის ძირითად სხვაობას შინაარსის სირთულისა და განზოგადების უნარის განსხვავებულ ხარისხში ხედავდა (<http://www.gumer.info/bibliotek-Buks/Linguist/poteb/intro.php>).

ანდაზისა და სიტყვის მასალათა ურთიერთობის საკითხთან დაკავშირებით საინტერესო შეხედულებანი განავითარა დიდმა პარემიოლოგმა ვ. დაღმაც. რუსული ანდაზების სრული კრებულის წინასიტყვაობაში იგი წერს: „ანდაზა მოკლე იგავია. ეს არის მსჯელობა,

განაჩენი, დარიგება, რომელიც ნართაულად ითქმება და ხმარებაში შემოდის ხალხურობის ორნამენტით. ყველასათვის გასაგები და მისაღებია ანდაზა-ქარაგმა ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილია ქარაგმა, სხარტი, ზოგადი მსჯელობა და მეორე – დამატებითი, დარიგება, განმარტება, თუმცა, ხშირად მეორე ნაწილი გამარტივებულია, მსმენელის გონებამახვილობაზე, გამჭრიახობაზეა მიხედობილი. მაშინ ანდაზას ანდაზური თქმისაგან თითქმის ვერ გაარჩევ... ანდაზური თქმა არაპირდაპირი გამოთქმაა, გადატანითი მეტყველებაა, უბრალო ნართაულია, ქარაგმა, რომელიც გამოხატვის ხერხია, მაგრამ იგავის, მსჯელობის, დასკვნის გამოყენების გარეშე, ეს არის ანდაზის ერთი პირველი ნაწილი. ანდაზური თქმა მხოლოდ ცვლის პირდაპირ მეტყველებას არაპირდაპირით, ზოგჯერ სათქმელს ბოლომდე არ ამბობს და საგანს არ ასახელებს, მაგრამ პირობითად, ცხადად მიანიშნებს... ანდაზური თქმა ზოგჯერ ძალიან ახლოს დგას ანდაზასთან: საკმარისია ერთი სიტყვის მიმატება, ან სიტყვის გადანაცვლება, რომ ანდაზური თქმისაგან ანდაზას მივიღებთ.

ვ. დალის მსჯელობის საფუძველზე ანდაზა-სიტყვის მასალა იმდენად მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, რომ ზოგჯერ საკმარისია მხოლოდ ერთი სიტყვის მიმატება ან გადაადგილება მათი ერთმანეთში გადასვლისათვის (<http://dic.academic.ru/dic.nsf/ushakov/754414>).

ამ საკითხთან მიმართებით, საყურადღებო და ორიგინალური შეხედულება აქვს მკვლევარ ე. ლიაცკის. მისი ღრმა რწმენით, ანდაზა-სიტყვის მასალათა შორის განსხვავება „ფუძნდება ცოცხალ მეტყველებაში, ხმაში, ტონში და იმ მნიშვნელობაში, რაც თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში იძლევა ცნობილ გამოთქმას ან – სიტყვას. წუთიერი ინტერესისაგან წარმოთქმული, მთელი რიგი წინამორბედი აზრებისაგან მოწყვეტილი ანდაზა ჩანერის დროს უფერულდება და ძალიან ხშირად ღიად ტოვებს საკითხს, მივიჩნით თუ არა იგი საკუთრივ ანდაზად თუ ანდაზურ თქმად“ (<http://az.lib.ru//ljackij-e-a/>).

ციტატა ნათელს ხდის ავტორის თვალსაზრისს, რაც იმით გამოიხატება, რომ ანდაზა-სიტყვის მასალათა შორის ძირითადი ნიშანი ინტონაცია-სიტუაციით და მათი შესრულების განსხვავებული მდგომარეობით არის განპირობებული. მოვლენათა არსებითი ხასიათის,

ფაქტების ძიებისა და გარეგანი ნიშნებისადმი გადამწყვეტი როლის მინიჭება, რა თქმა უნდა, არაა გამართლებული. ამ ორი, ახლო მდგომი ჟანრის გასამიჯნავად, ე. ლიაცკის უფრო რეალური კრიტიერიუმიც დაუძებნია: „ანდაზის (ჩანერისას), როგორც მოკლე გამონათქვამის განმასხვავებელი ნიშან-თვისებად, – წერს მკვლევარი – მიჩნეულია მისი ფორმალური ორწევრიანობა, მაშინ, როდესაც ანდაზური თქმა, საკუთარი აზრით, ყოველთვის ერთწევრიანია. თითოეული, ცოტად თუ მეტად ჩამოყალიბებული, ანდაზა იყოფა ორ ნაწილად, რომლებიც ერთმანეთს სხვადასხვაგვარად მიემართებიან“ (<http://az.lib.ru//ljackij-e-a/>).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს კიდევ ერთი შეხედულება, რომელიც გამოქვეყნებულია ო. შიროკოვას მიერ საჟურნალო სტატიაში: „ანდაზისა და ანდაზური თქმის ძირითად განმასხვავებელ ნიშნად მიჩნეულია ნართაულობა, გადატანითი აზრი, რომელიც გააჩნია ანდაზას და არ გააჩნია ანდაზურ თქმას. ანდაზური თქმა შესაძლებელია კიდევ დახასიათდეს როგორც საყოველთაო სახმარი კონსტრუქცია მეტყველებაში ან ენის იდიომატიზმი“ (<http://feb-web.ru/feb/litenc/encyclop/le9/le9-1722.htm>).

ავტორის განცხადებით, ნართაულობა მხოლოდ ანდაზისთვისაა ნიშანდობლივი, სიტყვის მასალებში გადატანითი მნიშვნელობა ისე გამოკვეთილად არ შეინიშნება, როგორც – ანდაზაში; მიუხედავად ამისა, მოსწრებულ თქმათათვის ნართაული ბუნების სრული უგულვებლყოფის უფლება როდი გვაქვს. გადატანითი მნიშვნელობა ორივე მოვლენისთვისაა დამახასიათებელი და სპეციფიკური. განსხვავებას მათ შორის მხოლოდ ნართაულობის მეტ-ნაკლებად გამოყენების ხარისხი ქმნის.

„ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორიაში“ პროფ. მიხეილ ჩიქოვანი კითხვას, თუ რით განსხვავდება ანდაზა მოსწრებული სიტყვისაგან, ასე პასუხობს: „ანდაზა ყოველთვის დასრულებულ აზრს, ზოგად ფორმულას და სინტაქსურად სრულ ერთეულს წარმოადგენს, მოსწრებული სიტყვა კი, იძლევა რა კონკრეტულ მითითებას, გადმოიცემა წინადადების ერთი ნაწილით“ [ჩიქოვანი, 1986:117].

ანდაზასა და სიტყვის მასალას შორის საერთო არსებობს, როგორც ფორმის, ისე შინაარსის მიხედვითაც, მაგრამ, ამასთანავე, არსებობს მათი მკვეთრად განმასხვავებელი ნიშნებიც, რომლებიც გაცილებით შინაარსიანია და ღრმა, ვიდრე ეს ზოგიერთ შემთხვევაშია აღიარებული. მაგ.: „ძალის ხსენებაზე“, რომელიც უკავშირდება ქართულ ხალხურ ანდაზას: „ძალის ახსენე და ჯოხი ხელში დაიჭიროე“...

ანდაზა დასრულებული წინადადებაა, სტილისტური ხერხია, რომლის მეშვეობით შედარების, დაპირისპირებისა და თუ სხვა მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების საფუძველზე გარკვეული ზოგადი მნიშვნელობის შემცველი მსჯელობა, აზრი, დასკვნა მოცემული; სიტყვის მასალა კი ამ შესაძლებლობას მოკლებულია; იგი, როგორც წინადადების პირველი განმასხვავებელი ნიშნის დადგენისას დავინახეთ, წინადადების მხოლოდ ნაწილითაა გადმოცემული. ლოგიკური აზრის გადმოცემა კი მხოლოდ დასრულებული წინადადებითაა შესაძლებელი. მაშასადამე, ანდაზა-სიტყვის მასალათა შორის მეორე განმასხვავებელ ნიშანს – ლოგიკურ წევრთა რაოდენობა ქმნის.

ზემოთ განხილულ ნიშანთა ბუნებრივ და კანონზომიერ გაგრძელებას წარმოადგენს ანდაზის მოსწრებულ თქმათა განმასხვავებელი მესამე ნიშანიც. სიტყვის მასალა მოკლებულია ზოგადად დასრულებული ხასიათის მსჯელობა-დასკვნის უნარს, მაგრამ აღჭურვილია შესაძლებლობით, გადაკვრით მიგვანიშნოს ზოგადი მნიშვნელობის შემცველ სახე-ხასიათთან დაკავშირებით შექმნილ ფართოდ გავრცელებულ ფაქტზე, გამოთქმაზე. მოსწრებული თქმა „ერთხელ კოჭლიც წინაო“ თავისებური მინიშნებაა ანდაზაში – „ფარა რომ მობრუნდება კოჭლი ცხვარი წინ მოექცევაო“ – გამოყენებული მხატვრული სახისა.

როგორც ფიქრია ზანდუკელი ასკვნის, სიტყვის მასალა არ არის მხატვრული აზროვნების უშუალო პირველადი შედეგი; მისი არსებობა, როგორც წესი, ანდაზის, იგავის ან სხვა რომელიმე მხატვრული მოვლენის არსებობით არის მოტივირებული. ყოველივე ზემოთქმულის შეჯამების საფუძველზე სიტყვის მასალის განმარტება შეიძლება, შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: სიტყვის მასალა აზრის დასადასტურებლად გამოყენებული ერთწევრიანი, დასრულებული სახე-ხასიათის შექმნის უნარს მოკლებული მხატვრული ნაწარმოებია,

რომელიც წინადადების ნაწილით არის მხოლოდ გადმოცემული და გადაკვრით ფართოდ გავრცელებული მხატვრული სახის მანიშნებელია (ზანდუკელი, 1980:205).

ამრიგად, ხალხური შემოქმედების ორ მონათესავე ჟანრს – ანდაზასა და სიტყვის მასალას მრავალ საერთოსთან ერთად, გააჩნია ისეთი ნიშნებიც, რომლებიც მკვეთრად განასხვავებენ მათ ერთმანეთისაგან.

ანდაზა დასრულებული წინადადებაა, სიტყვის მასალა კი – წინადადების ნაწილი; ანდაზისათვის ნიშანდობლივია ორ და იშვიათ შემთხვევაში, მეტწევრიანობაც, სიტყვის მასალისათვის დამახასიათებელია მხოლოდ და მხოლოდ ერთწევრიანობა; ანდაზა მხატვრული აზროვნების უშუალო, პირველადი შედეგია, სიტყვის მასალა კი – მეორეული; მისი არსებობა ანდაზის, იგავის ან სხვა რომელიმე მხატვრული მოვლენის არსებობით არის განპირობებული.

ანდაზების მხატვრული თავისებურებანი. „ანდაზა პოეტური ხელოვნებით გადმოცემის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. ხალხურ შემოქმედების მრავალფეროვან უბანზე ძნელად მოიძებნება იდეური ჩანაფიქრის მხატვრულად წარმოსახვის ისეთი მოხდენილი ფორმა, როგორც ანდაზა“ – წერს ქართული ხალხური ანდაზების ცნობილი მკვლევარი ფიქრია ზანდუკელი და სვამს კითხვას: „საინტერესოა, რა გარემოებამ აქცია ჩვეულებრივი, უსიუჟეტო, მინიატურული ფორმის ნაწარმოები იდეური გააზრების მხატვრულად ჩამოყალიბების სპეციფიკურ ნიმუშად?“

დასმული კითხვის პასუხს ეძიებს მკვლევარი ანდაზის მაღალ-მხატვრულ ფორმასა და ღრმააზროვანი შინაარსის საუკეთესოდ შერწყმა-შეხამების ოსტატობაში; მდიდარი, მრავალმნიშვნელოვანი შინაარსის მეტად ორიგინალურ მხატვრულ-გამომსახველობით სამკაულებით გამოვლენაში (ზანდუკელი, 1980:205).

ქართული ანდაზების პოეტიკას, ბუნებრივია ხალხური დახვეწილობის ბეჭედი აზის, რამდენადაც საანდაზო ლექსიკას უშუალოდ ხალხურ სასაუბრო მეტყველებაში უდგას ფესვები, საუკუნეთა განმავლობაში მრავალი თაობის სულიერ ქურაშია გადამდნარ-გამონართობილი; მრავალთა გონივრული ნაფიქრი და განზოგადოე-

ბულია, შემკულია ხალხური ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ჩუქურთმით.

ანდაზების შეუცნობლად შექმნის პროცესში რეალური სინამდვილის ზედმინევენიით სიზუსტით ფიქსირებისათვის მათში მრავალმხრივ ირეკლება ქართული ლექსიკის ამოუნურავი სიმდიდრე.

ანდაზების მხატვრულ თავისებურებებზე საუბარი, როგორც მკვლევარი ფ. ზანდუკელი აღნიშნავს, „მათი სინტაქსური აგებულების, პოეტური წყობისა და აზრობრივი მომენტების შესწავლას ითვალისწინებს“ (ზანდუკელი, 1980:206).

ანდაზა რიტმულად ორგანიზებული პოეტური სინტაქსური ერთეულია. დაკვირვებამ ცხადყო, რომ სინტაქსური აღნაგობის მიხედვით, ქართული ანდაზები ძირითადად ორნევერიან წინადადებებს წარმოადგენენ.

როდესაც ანდაზების ორ ან მრავალნევერიანობაზე ვსაუბრობთ, შინაარსობრივი და გრამატიკული ვითარებაა მხედველობაში მისაღები. მაგალითად ანდაზა: „ვერიდებოდი ღოღოსა, დამხვდა სოფლის ბოლოსა“ შინაარსობრივად ორნევერიანია. პირველი ნევერია – „ვერიდებოდი ღოღოსა“, მეორე ნევერია – „დამხვდა სოფლის ბოლოსა“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გვხვდება სამი და სამზე მეტნევერიანი ანდაზებიც, მაგრამ ამ უკანასკნელთა რიცხვი იმდენად შეზღუდულია, რომ ამ გარემოებას ქართულ ანდაზათა დამახასიათებელ ნიშნად ვერ მივიჩნევთ.

ორზე მეტნევერიანი ანდაზების ნიმუშები:

- **„ყორანს უთქვამს: გაღმა თუ გავალ, თეთრ კვერცხს დავდებო, გასულა, მაგრამ იქაც შავი კვერცხი დაუღიაო“**
- **„ვაი, ბატონო, მეღვინე მოკვდაო, ვაი, მეღვინის ბრალი, თორემ ბატონი მეღვინეს კიდევ იშოვისო“;**
- **„ქათმისთვის უკითხავთ, საიქიოს რა ამბავი მიიტანეო? რაღა ამბავიო: ცხვარი დაკლეს ზედ წამაკლეს, ძროხა დაკლეს ზედ წამაკლეს, თხა დაკლეს ზედ წამაკლეს და სხვა დაკლეს ზედ წამაკლესო“**

უნდა ითქვას, რომ სამ, ოთხ და მეტნევერიანობა, უმთავრესად დამახასიათებელია იგავიდან, თქმულებიდან და სხვა რომელიმე ჟანრიდან მომდინარე ანდაზებისათვის (ზანდუკელი, 1890:207).

ანდაზები დროთა განმავლობაში იხვეწებოდნენ, ფორმირდებოდნენ და განმაზოგადოებელ მნიშვნელობას იძენდნენ, ანუ ანდაზათა ყალიბში სახლდებოდნენ. სწორედ, ამიტომ არის რომ ქართული ხალხური ანდაზა ხან ლექსითი ფორმისაა, ხან კი პოეტური, პროზაული ფორმით გვხვდება.

ქართული ანდაზები, როგორც აღვნიშნეთ, ზოგჯერ ლექსის ფორმით არის გავრცელებული, ზოგ შემთხვევაში კი პროზაულ სახეს ინარჩუნებენ.

პოეტური, ანუ გართიმული ანდაზები, მხატვრული მეტყველების თავისებურ კანონზომიერებას ემორჩილებიან, სისინა ბგერათა ორგანიზაციის, რითმა-რიტმიკისა და პოეტური აქსესუარის ერთიანობის პრინციპს ემყარებიან. ამგვარი ანდაზებია:

- „ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო“;
- „ვერიდებოდი ღილოსა, დამიხვდა სოფლის ბოლოსა“;
- „ერთმანეთისა ბაძვითა, სახლი აივსო ნაგვითა“;
- „სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენი“;
- „დღე მეხვალიე კაცსაო, თოვლი მოადგა კარსაო“...

პროზაული ანდაზები არ არის შეზღუდული; როგორც აღვნიშნეთ ეპიკური ჟანრის ფოლკლორული ნაწარმოებებით ნასაზრდოებია, მაგრამ რიტმულ ჟღერადობას და მუსიკალურობას მეტ-ნაკლებად ისინიც ექვემდებარებიან, რაც წინადადების ბოლოში სხვათა სიტყვის „ო“-ს დართვასაც განაპირობებს. მაგალითად:

- „ადამიანი შეხედულებით არ იცნობაო“;
- „ავი კაცი აქე და ერიდეო“;
- „პურს თუ მაჭმევ, ნურც კბილს მომტეხო“ ...

ქართული ანდაზებისათვის, თანაბრად დამახასიათებელია როგორც გართიმული, მონოსტრიქონული სახე, ასევე – გაურითმავი პროზაული აღნაგობა. ცხადია, რომ, ორივე შემთხვევაში, საქმე გვაქვს უაღრესად მაღალმხატვრულ ნაწარმოებებთან, ჭეშმარიტ პოეზიასთან, ამ ცნების ზოგადი გაგებით (ზანდუკელი, 1980:208).

გართმული ქართული ანდაზები კომპოზიციურად ხალხურ შაირს წააგავს. მათში, შაირის მსგავსად, წარმოდგენილია სტრიქონი. მაგალითად:

- **„კატავერ/მეს/წვდა/ძენ/ვსა/ო პარას/კე/ვის/ა/დღეს/ა/ო“.**
- **ვე/რი/დებ/ო/დი ლო/ლო/სა და/მის/ვდა სოფ/ლის ბო/ლო/სა.**

ქართული ანდაზები პოეტურად დახვეწილი და ჩამოქნილია. საუკუნეთა განმავლობაში ხალხმა მათში ჩააქსოვა მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, რამაც ანდაზებს უფრო მეტი ესთეტიურობა და ემოციურობა შემატა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ანდაზათა დახვეწასა და ლაპიდრობას დიდად შეუწყო ხელი მისმა ორწევრიანობამ, რაც საყურადღებო მოვლენის მოქმედებათა თუ მდგომარეობათა ურთიერთშედარება-შეპირისპირების შესაძლებლობას იძლევა და რაც მთქმელისეული ჩანაფიქრის მხატვრულად გადმოცემას უწყობს ხელს. განვიხილოთ ანდაზები:

- **„სტუმარს სტუმარი სძულდა, მასპინძელს – ორივენი“;**
- **„უჭკუო კაცის ფეხია ცოდვა, ჭკვიანისა – თავი“;**
- **„რა მგელს შეუჭამიხარ და რა მგლისებრ ძაღლსაო“...**

მოხმობილ ანდაზებში წარმოდგენილი პარალელიზმის შედეგად, აშკარად თვალსაჩინო ხდება ურთიერთდაპირისპირებულ მოვლენათა შორის არსებული მსგავსება, რის საფუძველზეც ანდაზის პირველ ნაწილში გადმოცემულ აზრს უფრო მეტი გამოკვეთილობის, დამაჯერებლობის გამოვლენის საშუალება ეძლევა.

ქართული ანდაზებისათვის დამახასიათებელია სხვა სახის პარალელიზმიც, რაც საანდაზო ფორმულაში გარკვეული მოვლენებისა თუ ფაქტების წინააღმდეგობრივი ურთიერთდაპირისპირებისათვის არის გამიზნული, ეფუძნება კონტრასტს, ანტითეზისს:

ქართული ნიმუში:

- **„ღარიბი კაცის ძალღი გებრალეობდეს, მდიდრის – ქალი“;**
- **„ღვინოს ლხინისთვის ამზადებ, ღვინო ჭირისთვის გამზადებსო“...**

ფრანგული ნიმუში:

- **Noire geline pond blanc œuf;**
- **Bonjour lunettes, adieu fillettes;**
- **Longue langue, courte main;**
- **Froides mains, chaudes amours...**

კონკრეტულ შემთხვევაში **პარალელიზმი** წინააღმდეგობრივი მომენტების ხაზგასმის, ანდაზის ძირითადი იდეის გახსნის საუკეთესო საშუალებაა.

ქართულ ანდაზაში პარალელიზმი მეტად გავრცელებულია მაგ.:

- **„მდიდარი მკვდარსა ტიროდა, ღარიბი ხარჯსა ჩიოდა“;**
- **„კურდღელი პატარა არის, მაგრამ გაქცევა დიდი იცისო“...**

იგივე შეიძლება ითქვას ფრანგულ ენაზეც:

- **Ce que le gantelet gagne, le gorgerin le mange;**
- **En petit ventre, gros coeur;**
- **Main serrée, coeur étroit;**
- **Tel qui rit vendredi, dimanche pleurera...**

ანტითეზი, მოვლენათა კონტრასტული დასურათებისათვის მეტად მოხდენილი პოეტური ფიგურაა. ანდაზაში „მდიდრისას კატას ტიროდნენ და ღარიბისას კაცსაც არაო“ კონკრეტული ცნების შთაბეჭდილების მომხდენ გარემოს ქმნის.

ანდაზაში პარალელიზმის, როგორც სტილისტური ხერხის, მხატვრული ფუნქცია სავსებით გარკვეულია. იგი წარმოსახვის მომენტის გაძლიერებისათვის არის გამოყენებული. იგი მხატვრული წარმოსახვის პოეტური ფიგურაა და ლიტმცოდნეობაში გრადაციის სახელით არის ცნობილი. **გრადაცია** ანდაზის შინაარსის განსაზღვრაში წამყვან როლს ასრულებს (ზანდუკელი, 1980:210);

ანდაზების პოეტიკაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს **პოეტურ შედარებას**. იგი გამოყენებულია როგორც ფრაზის სილამაზისათვის, ასევე – საზოგადოებრივი ცხოვრებისგან მიღებულ შთაბეჭდილებათა შესაბამისი, რეალური ფერებით გადმოცემისათვის.

ანდაზებში იშვიათად ვხვდებით ფანტაზიით შექმნილ პოეტურ შედარებათა ნიმუშებს; მათი უმრავლესობა თვით ცხოვრებიდანაა ამოკრეფილი და დამუშავებული. ასეთია ანდაზა: „ადამიანის პირის კანი ხახვის გარსზე უფრო თხელია, მაგრამ, თუ ერთხელ გაიხია, კამერის ტყავზე უფრო გასქელდება“...

ანდაზებში მნიშვნელოვან ადგილს **ეპითეტიც** იკავებს. იგი სინამდვილის პოეტური წარმოსახვისა და შეგონების ძირითადი მოტივის გამომზეურებისათვის არის გამოყენებული. მაგ.:

- **„ავი მუშა კვირაძალზე გახალისდება“...**

ანდაზაში მთავარი მოტივის გადმოსაცემად ძალიან ხშირადაა მოშველიებული ტროპული მეტყველების ერთ-ერთი სახეობა – **გაპიროვნება**. მაგ.:

- **„ვირს რქები არ ამოუვიდა და თავისი თავი პატარა ეგონა“;**
- **„კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირში მოვდივარ“;**
- **„ბაყაყმა ფეხი აიშვირა, მეც ნალი დამკაართო“...**
- **„Ce n'est pas a la poule à chanter devant le coq“;**
- **„L'amour apprend aux ânes à danser“...**

ასევე, ანდაზისთვის დამახასიათებელია – **ჰიპერბოლა**. მაგ.:

- **„ჩიტის სკინტლზე შვავი ადგაო“;**
- **„წვეთი წყალი კაცს დაახრჩობს“;**
- **„სამგორის მინდორზე სამი ბებერი ვერ ეტეოდაო“...**
- **„L'amour est la seule maladie dont on n'aime pas guérir.“**
- **„Femme tombe sept fois et toujours se relève“...**

ანდაზისათვის დამახასიათებელია **ალეგორია**. შესაძლებელია, ალეგორიული იყოს სიტყვაც და აზრიც. ანდაზის ჟანრისათვის აზრის ალეგორიულობა უფრო ნიშანდობლივი და სპეციფიკურია. მაგ:

- **„სტუმარს სახლში არ უშვებდა-ხანჯალი ზემო თაროზე დამიდეთო“;**
- **„კატა ვერ შეწვდა ძეხვსაო, პარასკევია დღესაო“;**
- **„მელა კვდებოდა და თავი საქათმეში მიჰქონდაო“;**

- „დათვის მელისა კვალი გაუკვირდებო“...
- **Mieux vaut etre tete de souris que queue de lion;**
- **Il n'y a pas grenouille qui ne trouve pas son crapaud;**
- **Un bon renard ne mange jamais les poules de son voisin;**
- **Il faut coudre la peau du renard avec celle du lion...**

ანდაზებში იგაფურობა, ქარაგმული თქმა, სავსებით გასაგებ სიტყვიერ მასალაზეა აგებული. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ცნებათა პირდაპირი მნიშვნელობით ხმარებასთან. უნდა აღინიშნოს, რომ ალფ-გორიას ანდაზებში, მხატვრულ დატვირთვასთან ერთად, აზრობრივი ფუნქციაც ეკისრება.

ანდაზას მტკიცედ შეკრული კომპოზიციური აღნაგობა აქვს, რაც ემყარება ძლიერმოქმედ რიტმულ ბუნებას. მაგ:

- **„ვაის გავეყარე, უის შევეყარე“;**
- **„ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არისო...“**

სხვა შემთხვევაში, ქართული და ფრანგული ანდაზების რიტმულობა ერთი და იმავე სიტყვის რამდენიმეჯერ განმეორებაზეა დაფუძნებული. მაგ.:

- **„ნუ დაკარგავ ძველსა გზასა, ნურცა – ძველსა მეგობარსა“;**
- **„მუქთად ჯდომას, მუქთად შრომა ჯობიაო“;**
- **„შარინმა კაცმა შარის გულისათვის შარა მოხნაო...“**
- **Qui a bu boira;**
- **Bon vin, mauvaise tête;**
- **Tu as bu le bon, bois la lie;**
- **Chaque vit à sa lie;**
- **De bon vin, bon vinaigre...**

რიტმულობა და რითმა ანდაზების კომპოზიციური მთლიანობის ძირითადი ელემენტებია. ქართული საანდაზო კონტექსტისათვის დამახასიათებელია როგორც გარეგანი, ისე შინაგანი რითმებიც. გარეგანრიტმებიანი ანდაზებია:

- **„ძმა ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო“;**
- **„ორმა იცისო, ღორმა იცისო“...**

შინაგანრითმიანი ანდაზებია:

- „ბატონს ყმა უნდა უჭმელ-უსმელი, ტანთ ჩაუცმელი, შინმო-უსვლელი“;
- „ცხრა რძალი მოვიყვანე, ცხრა თავი საქმე მომემატაო“;

რითმა ანდაზისათვის მარტოოდენ პოეტური ორნამენტი კი არ არის, არამედ მათ უფრო ღრმა და სერიოზული დანიშნულება აქვთ. ისინი აძლიერებენ შინაარსს, მუსიკალურ ფლერადობასა და ამავე დროს მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ ფრაზის კომპოზიციურად შეკვრა-განმტკიცებაში.

როგორც მკვლევარი ფიქრია ზანდუკელი აღნიშნავს, „პროზაული, ანუ გაურითმავი, ანდაზების კეთილხმოვანება და მელოდიურობა უმთავრესად ალიტერაციისა და ასონანსის შემწეობით ხერხდება. ალიტერაციის არსი თანხმოვანი ბგერების მუსიკალურობაში გამოიხატება. საანდაზო ფრაზის შიგნით თანხმოვანთა ხშირი განმეორება ძლიერ გავრცელებული პოეტური ხერხია (ზანდუკელი, 1980:218)

- „შაშვის ჯავრით ყორანმა შოშია მოკლა – შენც შავი ხარო“;
- „სასწორის სისწორე ამონავზე ჰკიდაო“;
- „ქვეყანა იქცეოდა და ტურა ქორწილს ექცეოდაო“;
- „ნუ დასცინი სხვასაო, გადაგხდება თავსაო“...

ანდაზათა მუსიკალურობას ხელს უწყობს, აგრეთვე ასონანსიც, რაც საანდაზო ფორმულაში ხმოვანი ბგერების განმეორებას გულისხმობს:

- „დათვს თავისი მახრჩობელა პანტა უყვარსო“;
- „აზნაურის სტუმრობაო ნუ გგონია ხუმრობაო“;
- „ერთი პირიდან სითბოც ამოვა და სიცივეცაო“...
- „Femme de marin, femme de chagrin“; [am-am, a-a]
- „La fortune change comme la lune, [la-la, yn-yn-yn] Aujourd'hui sereine, demain brune“...

ანდაზებისათვის, როგორც ლაკონიური და ლაპიდარული პოეტური ფორმულისათვის, უცხოა ფრაზები არაფრისმთქმელი სიტყვებით;

ამგვარი ფრაზების ადგილს დეფისი იჭერს. შესაბამისი ხასიათის მოვლენა ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებული სტილისტური ხერხია და ელიფსისის სახელწოდებითაა ცნობილი. ელიფსისი ანდაზისათვის მეტად დამახასიათებელი პოეტური ხერხია:

- **„ვიცის დედა ტიროდა, არ ვიცისა – იცინოდაო“ (დედა);**
- **„მსუქანს ყელი გაიგებს, მძიმეს – ხელიო“ (გაიგებს) ...**

ქართული ანდაზების პოეტიკაში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭება ხმოვან – „ო“-ს, რომელიც ძირითადად პროზაული ანდაზების აუცილებელი კომპონენტია. მაგ:

- **„ძალი ვინც მოკლა, მანვე გადაათრიოსო“;**
- **„ნაბლი ბუჯგიდან გამოვიდა, ბუჯგი აღარ იკადრაო“;**
- **„ცული პატარაა მაგრამ დიდ ხეს ნააქცევსო“ ...**

„ო“ ხმოვნის დართვით საანდაზო ფრაზის ბოლოს ხაზი ესმება სხვისი ნათქვამის გამეორებას. „ო“-ს გამოუყენებლობის შემთხვევაში ანდაზას აუცილებლად ერთვის სიტყვები: თქმულა, ნათქვამია, გაგონილა და სხვა. თუმცა, სხვათა სიტყვის „ო“, როგორც ფიქრია ზანდუკელი აღნიშნავს იმდენად ბუნებრივი და კანონზომიერი ანდაზისათვის, რომ ხშირად სიტყვების: თქმულა, ნათქვამია, გაგონილა და სხვათა პარალელურად „ო“ ნაწილაკიც იხმარება (ზანდუკელი, 1980:219).

- **„აქლემს უთხრეს: კისერი გაქვს მრუდო, და – სწორი რა მაქვსო“;**
- **„თავშავამ თქვა: ღმერთი რომ გამიწყრა, ბაღების ხელში ჩავვარდიო“;**
- **„თევზმა თქვა: სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ პირი წყლითა მაქვს სავსეო“;**
- **„ნათქვამია: ზოგს მღვდელი მოსწონს, ზოგს კიდევ – დიაკვანიო...“**

ანდაზისათვის დამახასიათებელი „ო“ ხმოვნის ფუნქცია მკვლევარმა ფიქრია ზანდუკელმა ამგვარად ჩამოაყალიბა:

- ▶ იგი, უპირველეს ყოვლისა, აზრობრივი დანიშნულების მქონე ელემენტია, ხაზს უსვამს აზრის სხვისგან მომდინარეობის პროცესს;
- ▶ იგი პოეტური მეტყველებისათვის თავისებური ელფერის მიმცემია, იგი ხელს უწყობს ანდაზის მუსიკალურობას;
- ▶ იგი განმაზოგადებლობის დამადასტურებელი ნიშანია... (ზანდუკელი: 1980:220).

ანდაზების შესწავლა ცხადყოფს, რომ ზეპირსიტყვიერების ეს ჟანრი მიმზიდველი და მრავლისმთქმელი შინაარსით ხასიათდება და ის მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებით არის გაჯერებული.

პირველი პარემიოლოგიური კრებულები ქართულ და ფრანგულ ენაში. ანდაზები უხსოვარი დროიდან იქმნებოდა, მათი შესწავლა საუკუნეებს ითვლის, მაგრამ მხოლოდ ანდაზისმცოდნეობა „პარემიოლოგიის“ სახელწოდებით ცალკე დისციპლინად მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა და შევიდა ზოგად ფოლკლორისტიკაში, რამდენადაც ანდაზისმცოდნეობა თავის პრინციპებს ყოველთვის ზოგადი ფოლკლორისტიკიდან იღებდა და იღებს.

ანდაზის შესწავლისას მკვლევართა ყურადღებას იპყრობს შემდეგი საკითხები: ანდაზის განსაზღვრა; ანდაზის გენეზისი; ანდაზის კლასიფიკაცია; ანდაზებისა და სხვა ფოლკლორული ჟანრების ურთიერთობა, ერთი კუთხის ან ქვეყნის ანდაზების მიმართება სხვა კუთხის ან ქვეყნის ანდაზებთან, ანდაზების პოეტიკა და სხვა.

მსოფლიო პარემიოლოგიაში ანდაზათა რამდენიმე კლასიფიკაცია არსებობს: ანბანური, თემატური, საგნობრივი, მონოგრაფიული და სალექსიკონო-ენციკლოპედიური; ძირითადად გავრცელებულია ანბანური და თემატური კლასიფიკაცია.

ტერმინი „ანდაზა“ ფოლკლორული ჟანრის აღსანიშნავად საქართველოში შედარებით გვიან შემოსულა ხმარებაში. გამოჩენილი ლექსიკოგრაფის სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, მის ბადლად ადრე „არაკი“ და „იგავი“ იხმარებოდა; „ანდაზა“ მცირე ფორმის ზეპოეტურ ნართაულ ნათქვამს მოგვიანებით ეწოდა. აჭარაში ანდაზის აღსანიშ-

ნავად გვხდება, როგორც საკუთრივ „ანდაზა“, ასევე „სიტყვის მესელეც“ (მსხალაძე, 1984: 11).

ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოდან მოყოლებული, პირველი ანდაზების თავმოყრა, საჭურნალო სტატიის სახით („ხალხური ანდაზები“) რაფიელ ერისთავმა 1871 წელს ჟურნალ „კრებულში“ წარმოგვიდგინა. იმ დროს გავრცელებული იყო ფოლკლორული ჟანრის ნაკვესები. ნაკვესი მახვილგონივრულია, მაგრამ იგი ანდაზას ვერ შეედრება. ნაკვესი უფრო მეტად მიბმულია თავის წარმომშობ კონკრეტულ სიტუაციასთან, ანდაზა კი სიტუაციის მოდელთან, პარადიგმატიკასთანაა მიბმული“ (<http://www.ambioni.ge/rogor-aisaxa-tana-medroveoba-andazebsi>).

„ანდაზა სხარტად გამოთქმული სიბრძნეა ხალხისა, მთელის საუკუნეების დაკვირვების შედეგი და წარმონაშობი. ისე მკაფიოდ არსად იხატება დაკვირვება ამა თუ იმ ხალხისა, როგორც – ანდაზაში. ამიტომაც უჭირავს ანდაზას საპატიო ადგილი ხალხის ზეპირსიტყვიერებაში,“ ასე გამოთქვა აზრი თედო სახოკიამ 1898 წელს სოსიკო მერკვილაძის მიერ გამოცემული „ხალხური ანდაზებისა და გამოცანების“ კრებულის რეცენზიაში [„მოამბე“, 1898: 75-76]. თედო სახოკია თავად იყო ერთ-ერთი პირველი ქართველი მოლვანე, რომელმაც ევროპას გააცნო ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, მათ შორის ანდაზები. 1900 წ. გაზეთმა „ივერია“ (№240) ქართულ საზოგადოებას აუწყა, რომ ფრანგულ ჟურნალში დაიბეჭდა თ. სახოკიას მიერ თარგმნილი მეგრული ანდაზები.

1902 წ. ჟურნალი „მწყემსი“ [№23-24:13] ახალი ამბისა და შენიშვნების განყოფილებაში იტყობინებოდა: „ერთ ფრანგულ ჟურნალში დაბეჭდილია ქართული ანდაზები, თარგმნილი თედო სახოკიას მიერ. სულ 800-ზე მეტი ანდაზაა დაბეჭდილი, როგორც წინასიტყვაობიდან ჩანს, მრავალი მათგანი თვით თ. სახოკიას შეუგროვებია და ჯერ ქართულადაც არ ყოფილა დაბეჭდილი, ანდაზები ცალკე წიგნადაც გამოვა“. მართლაც, 1903 წ. პარიზში გამოიცა – „Les proverbes géorgiens“.

ქართული ანდაზების ფრანგულმა გამოცემამ გამოხმაურება ჰპოვა იმდროინდელ ქართულ პრესაში. „ივერიაში“ – (1903 №93) და-

იბეჭდა რეცენზია „ქალაქელის“ ფსევდონიმით, რომელშიც ავტორი წერს: „ჩვენს ცნობილ მწერალს ბ-ნ თ. სახოკიას საუცხოვო აზრი მოსვლია, გადაუთარგმნია ფრანგულად ქართული ანდაზები დაუბეჭდია ფრანგულს ჟურნალში და მერე ცალკე წიგნადაც გამოსცაო„. რეცენზენტი კმაყოფილებით აღნიშნავს ასევე, რომ თ. სახოკიას „ანდაზები შინაარსის მიხედვით გაუნაწილებია და რომ თარგმანი ერთობ კარგია, – უფრო განმეორებაა, ვინემ – თარგმანი. ბატონ თ. სახოკიას კარგად შეუგნია საქმის სიძნელე და სიტყვით-სიტყვად თარგმანს არ გამოჰკიდებია.“

ფრანგულად დაბეჭდილი ანდაზების კრებული (814 ერთეული) მკვლევარმა თემატურად დაანაწილა და სულ 66 ჯგუფში გააერთიანა. ეს ჯგუფებია: ღმერთი, სოფელი, მეურნეობა, სიყვარული, მეგობრობა, სტუმართმოყვარეობა, სილამაზე, სიკეთე, ბედნიერება, შრომა, ნადირობა, სიმდიდრე, ვაჭრობა, რჩევა, ცნობისმოყვარეობა, აღზრდა, ეგოიზმი, ოჯახი, მეფე, ქალი, საზოგადოება, ახალგაზრდობა, ქურდობა, სიზმარი, ხელობა, მოთმინება, მოგზაურობა და ა.შ.

ამგვარად, თედო სახოკია პირველი იყო, ვინც ფართო საზოგადოებას, ევროპას და კერძოდ საფრანგეთს, გააცნო ქართული ხალხური ანდაზები და ამ გზით აზიარა ქართული სულიერებას. წერდა კიდევ ფრანგული გამოცემის წინასიტყვაობაში: „ჩვენ გვსურს, ფრანგ ხალხს გავაცნოთ ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების გამოძახილი, მისის სიბრძნის ხმა„ და ფრანგულად ნათარგმნი ანდაზები, მართლაც, წარმოადგენენ „აზრებს ზნეობრივი მოძღვრების შესახებ.“ [ხახანაშვილი, 1903:697].

როგორც აღვნიშნეთ ბრძნულად თქმულ მოკლე სიტყვას თუ ფრაზას ყველა დროში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ყველა დროისა და ყველა ეპოქის დიდი ბერძენი ფილოსოფოსი სოკრატე ამთავრებდა თავის სიტყვას „Comme de manières de dire courtes et mémorables,“ პლატონის „Protagoras“ კი ეკუთვნოდა სიტყვები „du plus modeste des Spartiates“. ასე რომ, პლატონიდან დაწყებული დღემდე ანდაზა მიჩნეულია როგორც „manière de dire“ ასევე ხასიათდება ბერძნული „paroma“ (საიდანაც წარმოიშვა მეცნიერება პარემიოლოგია) ლათინურად „proverbium“.

ნური – proverbium, ესპანური – refran და ფრანგული proverbe, რომელზეც, რა თქმა უნდა, ლათინურის გავლენა აისახა.

თავად აღორძინების ეპოქაშიც არ იყო გამოყოფილი ანდაზის რაობა „erasme“ და „adgia“ ანდაზა და აფორიზმი, სენტენცია და მაქსიმები ერთმანეთში იყო აღრეული.

მე-17 საუკუნეში Furetière (1690) თავის უნივერსალურ ლექსიკონში ანდაზას უწოდებდა სახალხო მეტაფორულ გამონათქვამს. კლასიკური პერიოდის საფრანგეთში კი ანდაზა სახალხო საუბარში გამოიყენებოდა, მაგრამ მაღალი, დახვეწილი, სალიტერატურო ენის მიერ გაუფასურებულად ითვლებოდა.

ანდაზების შესწავლა შუასაუკუნეებიდან იღებს სათავეს, რაც იმაზე მიუთითებს, თუ რამდენად მძაფრი და ღრმა ინტერესი გააჩნდათ ანდაზების მიმართ. ანდაზებს სხვადასხვა დროს სწავლობდნენ ფილოლოგები, მწერლები, იურისტები, არისტოკრატის წარმომადგენლები, ბურჟუები, სასულიერო თუ სამხედრო პირები.

შუასაუკუნეები არის პერიოდი ანდაზების აღზევებისა და პოპულარობისა, როცა ფართოდ გამოიყენებენ ანდაზებს, რაც აისახება იმ ნაწარმოებების დიდაქტიკური ხასიათით, რომლებიც იმ პერიოდში იქმნებოდა. ანდაზების ასეთმა აქტუალურობამ თავისი კვალი დატოვა; სწორედ, ამ პერიოდში შეიქმნა ანდაზების კრებული, რომელმაც ხელნაწერის სახით მოაღწია ჩვენამდე. მათ შორის აღსანიშნავია კრებულები: Distiques de Caton, Dialogue de Salomon et Marcoul, Dits et Proverbes des Sages Philosophes. მაგრამ მნიშვნელოვანი როლი მაინც ხალხური ანდაზების კრებულმა ითამაშა, რომელიც წარმოადგენს ამ პერიოდის ყველაზე პოპულარულ სამ ხალხურ კრებულს.

პირველი მათგანი „Proverbes au Vilain“ შეიქმნა დაახლოებით 1175 წელს უცნობი ავტორის მიერ, რომელსაც მფარველობდა ფლანდრიის მმართველი გრაფი ფილიპი (დაახლოებით 1143-1191 წწ). კრებული შედგება ექვსპნკარიანი სტროფისაგან, თითოეული მათგანი მთავრდება ხალხური ანდაზით ან გამონათქვამით. ამ ანდაზებიდან ბევრი მოძველებულია, მაგრამ კრებულში გვხვდება ისეთი გამონათქვამები, რომლებსაც თანამედროვე ფრანგულ ენაში დღესაც იყენებენ (მაგ.: Qui lingua a, à Rome va).

მეორე კრებულს ეწოდება „Proverbs Rurauz et Vulgauz“ და ეკუთვნის ანონიმ ავტორს. ის შედგენილია დაახლოებით 1317 წელს, მოიცავს 489 ანდაზას და გამონათქვამს კომენტარების გარეშე.

მესამე კრებული შედგენილია დაახლოებით 1440-1444 წლებში ეტიენ ლეგრის (Estienn Legris) მიერ, რომელიც შედგება 800 ანდაზისა და გამონათქვამისგან, რომელთა შორის არის ფრაზეოლოგიური ერთეულებიც. წინა ორი კრებულისაგან განსხვავებით, ლეგრის კრებულში თითოეულ ანდაზას ერთვის მოკლე მიმოხილვა ლათინურ ენაზე. ამ კრებულის წინასიტყვაობაში, რომელიც დანერილია ლათინურ ენაზე, საუბარია იმაზე, თუ რა სარგებლობა მოაქვს ადამიანისათვის ანდაზებისა და გამონათქვამების ცოდნას.

ალორძინების ეპოქის დასაწყისი, მე-16 საუკუნე ცნობილია საფრანგეთის ისტორიაში, როგორც მეცნიერების ალორძინების ეპოქა, რასაც თან ახლდა ფრანგული ენის განვითარება, მისი გამდიდრება ახალი სიტყვებითა და სიტყვანარმოებებით. განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენებოდა ფიგურალური თქმები, რაც იმ პერიოდის აზროვნებისთვის იყო დამახასიათებელი. ამ გამონათქვამების გავრცელებამ ერთგვარად შეუწყო ხელი წიგნის ბეჭდვის განვითარებას; ამან მისცა საშუალება ფრანგებს გაეცნოთ ისეთი მწერლების შემოქმედება, როგორიცაა რაბლე, ბონავენტურა, დეპერიე, მარგარიტა ნავარელი და სხვები, რომელთა ნაწარმოებებიც მდიდარია ანდაზებითა და ფრაზეოლოგიზმებით.

ალორძინების პერიოდში ანდაზა გახდა არამარტო კრებულების შედგენის, არამედ მისი შესწავლის სფერო. ამ ეპოქის მკვლევართა შორის უნდა აღინიშნოს ორი ფილოლოგი – ანრი ეტიენი (Henri Estienne) და ეტიენ პასკიე (Etienne Pasquier).

ანრი ეტიენს (1531-1599) ეკუთვნის „Thesaurus linguae graecae“ და „Precellence du langage français“, გამოცემული 1579 წელს; ამ უკანასკნელში ესტიენი იცავს ფრანგულ ენას და ცდილობს, დაამტკიცოს ფრანგული ენის უპირატესობა სხვა ენებთან მიმართებით. ის ხაზს უსვამს ფრანგული ენის სიმდიდრეს, ანდაზებსა და ფრაზეოლოგიზმებს, რომელსაც დიდი ადგილი უჭირავს მის წიგნში. ანდაზების განხილვისას ის დასძენს, რომ ერთ ლათინურ ან ბერძნულ ანდაზას

ფრანგულ ენაში შეესაბამება რამდენიმე ანდაზა, რომელთა ანალოგი არ მოიპოვება კლასიკურ ენებში.

ანრი ეტიენი, ასევე, ეხება ლინგვისტურ პრობლემებს, ანდაზის შინაარსს, მათ სემანტიკას და ეტიმოლოგიას.

ეტიენ პაკე (1529-1615), განათლებით იურისტი, ცნობილია თავისი ფუნდამენტური ათტომიანი ნაშრომით „Recherche de la France“. მე-8 ტომი მთლიანად ეძღვნება ფრანგული ენის ანდაზებსა და ფრაზეოლოგიზმებს. ალორძინების ეპოქაში უკვე ხდება არა ანდაზათა შეგროვება, არამედ – მათი შესწავლა.

მე-17-18 სს-ებში გამორჩეული იყო ანტუან უდენი (Antoine Oudin) ავტორი საინტერესო და მდიდარი ლექსიკონისა, რომელიც გამოიცა 1940 წელს სახელწოდებით: „Curiosités françaises, pour supplément aux dictionnaires. Recueil de plusieurs belles propriétés avec une infinite de proverbes et quolibets, pour l'explication de toutes sortes de livres“. ეს წიგნი ითვლება პირველ სისტემატიზირებულ ანდაზურ მასალად ფრანგულ ენაში და უკავია მნიშვნელოვანი ადგილი ფრანგული პარემიოლოგიის კვლევაში. ის იყო და რჩება ღირებულ წყაროდ ანდაზების შესწავლისას.

მე-17 ს-ში გამოვიდა ფლერი დე ბელენჟანას (Fleury de bellingen) „Étymologies ou explication des proverbes français“ (1656) წიგნი, რომელიც შედგება სამი ნაწილისაგან, იყოფა ქვეთავებად.

მე-18 ს-ში გამოვიდა „Dictionnaires des proverbes français“ პანკუკის მიერ (A. Y. Panckoucke), 1749 წელს.

ტუეს ეკუთვნის (J. Tuet) „Matinées senonaises ou proverbes français suivis de leur origine“ 1789.

მე-19 საუკუნე ფრანგული ანდაზის შესწავლის კუთხით გამორჩეულია, ამ დროს ხორციელდება უფრო ღრმა წვდომა, ამ ჟანრისა.

ჩნდება ახალი ლექსიკონები; სამეცნიერო ანდაზებით თანდართული. ამ პერიოდის უდიდეს კვლევად უნდა ჩაითვალოს კიტარის (P. Quitard) ნაშრომი: „Dictionnaire etymologique, historique et anectdotique des proverbes et des locutions proverbiales de la langue française“ (1842). მასში მასალა ანბანური პრინციპითაა დალაგებული, მასში, სხვა წინამორბედი ნაშრომებისაგან განსხვავებით, შესწავლის შედა-

რებით-ისტორიული მეთოდია გამოყენებული. კიტარი შეეცადა სხვა-დასხვა ფაქტორები (სემანტიკა, ფონეტიკა და ა. შ.) შეესწავლა.

ამ პერიოდის პარემიების მეორე დიდი მკვლევარია – ლერუ დე ლენსი (Le Roux de Lincy), რომელმაც 1842 წელს გამოსცა ორტომეული, სახელწოდებით: „Les livres des proverbes français“. მკვლევარმა პირველმა მოახდინა ფრანგული ანდაზების კლასიფიკაცია გამონათქვამების, ფრაზეოლოგიზმების, ისტორიულ-ეტიმოლოგიური და თემატური თვალსაზრისით.

მე-19 ს-ის ანდაზათა შორის, ასევე, უნდა დასახელდეს Mesangere, Mery, Genin, Nisard, Martel, Loubens.

მე-19 საუკუნე გამოირჩევა იმითაც, რომ ხდება დიფერენცირება პარემიოლოგიისა და ფრაზეოლოგიისა, რაც ცალკე კვლევის საგანია.

ავტორებისაგან

ქართული ანდაზები/PROVERBES GÉORGIENS

დახმარება/Aide

დავრდომილს ნიხლი კი არა, შველა უნდაო.	Le grand doit aider le petit.
ნაქცეულს ნიხლი კი არა, შველა უნდაო.	
ხელი ხელსა, მაღლი ღმერთსა.	Un peu d'aide nous fait grand bien,
ხელი ხელს ბანს ორივე ერთად პირსაო.	un second sert de soutien.
სხვას რომ მუცელი ასტკივდება, შენც ხელი მოისვიო.	Qui s'aide, fortune l'avance.
ღმერთს უთქვამს, ხელი გაანძრიე და გეშველებაო.	Il faut que la poule aide à gratter au coq.
	Aide-toi, et le ciel t'aidera.

ფრანგული ანდაზები/PROVERBES FRANÇAIS

Aide/დახმარება

Aide à tous, à nul ne méfais.	⇒ ყველას დაეხმარე, ცუდს ნურავის გაუკეთებო.
Quand chacun s'aide, personne ne se tue.	⇒ როცა ყველა ერთმანეთს ეხმარება, არავინ კლავს ერთმანეთს.
À ceux qui sont hardis, fortune veut aider, mais à la timidité, elle fait rejeter.	⇒ ბედი გაბედულს ეხმარება, მორცხვს კი ზურგს აქცევსო.
Souhais n'aident guère.	⇒ სურვილები დიდად არ გვეხმარება.

ქართული ანდაზები/PROVERBES GÉORGIENS

ადრე ადგომა/Se lever tôt

ადრე ადგომა მეტი სიცოცხლე არიო.	La journée appartient à ceux qui se lèvent tôt.
	Coucher de poule et lever de corbeau, écartent l'homme du tombeau.
ადრე ამდგომი შორს წავაო.	Par se lever tôt toujours matin, on parvient à grand butin.
ტოლმა-ტოლს რითი აჯობაო და ადრე ადგომითაო.	Celui qui se lève matin, seul remplit son grenier de grain.
	Qui veut gagner son beurre doit se lever de bonne heure.

ადრე ამდგარსა ყმანვილსა ღმერთი უმზადებს სადილსაო.	À qui se lève matin, Dieu donne l'aide et la main.
ადრე ამდგარი ჩიტი ნისკარტს ინ-მენდს, მძინარა – თვალებს იფშენეტს. tõt.	L'avenir appartient à ceux qui se lèvent tôt.
ადრე ამდგარსა კურდღელსა, ვერ დაენევა მწევარი.	Les heures matinales ont la bouche pleine d'or.
ადრე ამდგარსა კურდღელსა ვერ დაენევა მდევარიო.	Il faut se lever bien matin pour le surprendre.
შემატოს მღვიძარესა, შემოაკლდეს მძინარესო.	Trop dormir cause mal vêtir.

ფრანგული ანდაზები/PROVERBES FRANÇAIS

Se lever tôt/ადრე ადგომა

À cinq lève-toi, dîne à neuf, soupe à cinq et te couche à neuf, tu iras à nonante-neuf.	⇒ ხუთ საათზე ადექი, ცხრაზე ისადილე, ხუთზე ივახშმე, ცხრაზე დანექი და ოთხმოცდაცხრამეტ წლამდე მიაღწევ.
Qui tard se lève tout bien le fuit.	⇒ ვინც გვიან დგება, ყველაფერი ხელიდან უსხლტება.
Renard qui tard se lève, ne fait bonne collation.	⇒ მელია, რომელიც გვიან დგება, კარგად ვერ წაიხემებს.
Se lever matin à rien ne sert, si la fortune t'est contraire.	⇒ დილით ადგომა ვერაფერს გარგებს, თუ ბედი შენს წინააღმდეგაა.
Homme fin se lève matin.	⇒ გონიერი ადამიანი დილით დგება.
Qui se lève tard dîne tard.	⇒ ვინც გვიან დგება, გვიან ვახშმობს.
Ce n'est pas le tout de se lever matin, il faut encore arriver à l'heure.	⇒ დილით ადრე ადგომა არ კმარა, თუ დროულად არ მიხვედი.
On adore plutôt le soleil levant que le soleil couchant.	⇒ ამომავალი მზე გვირჩევნია ჩამავალს.
Couche-toi sans souper pour te lever sans dette.	⇒ დაიძინე ვახშმის გარეშე, რომ გაიღვიძო ვალის გარეშე.

ქართული ანდაზები/PROVERBES GÉORGIENS

გული/Cœur

ღია გულში ეშმაკი არ იბუდებსო.	Il est en ce monde de bons cœurs qu'on ne peut soupçonner.
გულს გული იცნობსო.	Le cœur seul sait parler au cœur.
როგორც თვალი შორს, ისე გული შორს.	Cœur oublie ce que l'œil ne voit.
შავ გულს თეთრი კბილი ფარავსო; გული შავი, კბილი თეთრი არავის- თვის მშურსო.	Diseur de bons mots, mauvais caractère. Parle la bouche, mais le cœur n'y touche.
გულისთქმას პირი მოთქვამსო. ვისაც გული არა სტკივა, იმას ცრემლი არა სცვივაო.	De l'abondance du cœur la bouche parle. La bouche ne verse que le trop plein du cœur.
გული გულობდეს, თორე ქადა ორივე ხელით იჭმებაო.	⇒ On peut manger son pain à deux mains si on le fait avec le cœur.
გულიდან გულზე ხიდაიაო.	⇒ Entre deux cœurs, il y a un pont.
გულიდან გულამდე გზა არისო.	⇒ Un chemin passe d'un cœur à l'autre.
ყველი და პურიო, კეთილი გულიო.	⇒ Il suffit fromage et pain, si c'est du bon cœur.
ჰკითხე ასსა – ჰქმენ გულისა.	⇒ Demandes le conseil à cent personnes, mais n'écoute que ton cœur.

ფრანგული ანდაზები/PROVERBES FRANÇAIS

Cœur/გული

Un bon cœur est un port ouvert aux naufragés.	⇒ კარგი გული ჩაძირული გემის მგზავრთა ნავსადგურია.
Allégresse de cœur fait beau visage.	⇒ მხიარული გული სახესაც ალამაზებს.
La beauté du cœur est plus belle que celle du visage.	⇒ გულის სილამაზე სახის სილამაზეს სჯობს.
Un cœur droit est le premier organe de la vérité.	⇒ მართალი გული ჭეშმარიტების პირველი ორგანოა.

Trop et trop peu d'esprit étouffe en nous le cœur.	⇒ ზედმეტი ჭკუა, ისევე როგორც ნაკლები, გულის ხმას ახშობს.
Cœur sans esprit vaut mieux que de l'esprit sans cœur.	⇒ გული გონების გარეშე უკეთესია, ვიდრე გონება გულის გარეშე.
Tel est grand par l'esprit, et petit par le cœur.	⇒ ჭკუით დიდი და გულით პატარაო.
L'esprit du cœur, c'est la délicatesse.	⇒ დახვეწილობა გულის გონებაა.
Avant de lire le ciel, sache lire en ton cœur.	⇒ სანამ ბედის წასაკითხად ცას შეაჩერდები, შენს გულში ჩაიხედეო.
L'amour qui glisse par l'oreille se loge dans le cœur.	⇒ სიყვარული ყურიდან ჩასრი-ალდება და გულში იბუდებს.
Cœur de femme cessant d'aimer cesse de battre.	⇒ ქალის გულისცემა მაშინ ჩერდება, როცა სიყვარული წყდება.
Qui fait rire l'esprit se rend maître du cœur.	⇒ ვინც გონებას აცინებს, ის გულსაც იპყრობს.
Cœur facile à donner, cœur facile à ôter.	⇒ გული, რომელიც ადვილად იყვარებს, ადვილადვე ივიწყებს.
Dans son propre cœur l'homme doit chercher son repos.	⇒ ადამიანმა მოსვენება საკუთარ გულში უნდა ეძებოს.

ქართული ანდაზები/PROVERBES GÉORGIENS

გიჟი/Fou

გიჟი ბევრჯერ მართალს იტყვისო.	Le fou parle d'abord, puis songe à ce qu'il dit.
	La langue du fou est sa ruine.
გიჟის მეგობარი გიჟი იქნებაო.	Soyez dans l'occasion fou avec les fous.
გიჟი აბნევდა, ჭკვიანი კრეფდაო.	Les fous font les festins, les sages les mangent.
	Les fous troublent l'eau et les sages pêchent.
გიჟს ნუ ჰკითხავ და ნურც დაუჯერებო.	⇒ Ne demande rien à un fou et ne l'écoute jamais.

- მოხეტიალე გიჟი მოსიარულე
ხიფათი და სიკვდილიაო. ⇒ Un fou errant, c'est un danger
ambulant et la mort.
- სხვისი გიჟი სასაცილოა, თავისი –
კი სამარცხვინოო. ⇒ Un fou chez les autres nous fait rire,
chez nous il nous couvre de honte.
- გიჟი ის არის ვინც აბნევს, ვინც
კრეფავს, ის გიჟი არ არის. ⇒ Un fou est celui qui gaspille et non
pas celui qui amasse.
- გიჟი ქორწილში შევიდა ჩემს სახლს
აქა სჯობიაო. ⇒ Un fou assista aux noces et se dit:
«C'est mieux ici que chez moi.»

ფრანგული ანდაზები/PROVERBES FRANÇAIS

Fou/გიჟი

- Qui veut nager contre le flot, est bien
enragé, fou ou sot ⇒ ვისაც დინების საწინააღმდეგოდ
ცურვა უნდა, გაცოფებული,
შეშლილი ან სულელია.
- Le bâton profite au fou. ⇒ ჯოხი სულელს რგებსო.
- Il est bien fou qui à fou sens demande. ⇒ ვინც გიჟისაგან გონიერებას
ითხოვს, თავადაც გიჟია.
- Riche et fou font ce qu'ils veulent. ⇒ მდიდარი და გიჟი აკეთებენ იმას,
რაც სურთ.
- Accointance (compagnie) de fous ne
vaut rien. ⇒ გიჟი გიჟს დაუმეგობრდეს, რა
ხეირიაო.
- La semence des fous est fort
fructueuse. ⇒ სულელების ნათესი ძალიან
ნაყოფიერია.
- À fou conteur, sage auditeur. ⇒ შეშლილ მეზღაპრეს, გონიერი
მსმენელიო.
- Le fou ne voit en sa folie que sens. ⇒ გიჟი თავის სიგიჟეში მხოლოდ
გონიერებას ხედავს.
- Il y a plus de fous en liberté qu'en
prison. ⇒ უფრო მეტი გიჟია თავისუფლე-
ბაში, ვიდრე ციხეში.
- Le fou se trahit lui-même. ⇒ გიჟი თავს ვერ დამალავსო.

ქართული ანდაზები/PROVERBES GÉORGIENS

ავადმყოფობა/Maladie

- ავადმყოფობა ფუთობით მოდის და გრამობით მიდისო. Le mal vient à cheval et s'en retourne à pied.
- ავადმყოფობა კაცის ჯანში ურმით შევა და წვეთ-წვეთად ძლივს გამოვაო.
- ავადმყოფი რომ მორჩება, ექიმები შესძულდებაო. ⇒ Un malade guéri hait les médecins.
- ავადმყოფს ექიმი არჩენს, უბედურს – კარგი მეგობარიო. ⇒ Un médecin guérit un malade, un bon ami guérit un malheureux.
- ავადმყოფს ჰკითხავენ, ჭამა გინდა თუ არაო. ⇒ Ce n'est qu'au malade qu'on demande s'il veut manger.

LES PROVERBES FRANÇAIS/ფრანგული ანდაზები

La Maladie/ავადმყოფობა

- Malade sans douleur, chien boiteux quand il veut. ძალღი კოჭლობით არ მოკვდებაო.
- Quand un moucheron pique le malade, il se croit que c'est un tavin (taon). ⇒ როცა ბუზი ავადმყოფს კბენს, თავი ბუზანკალი ჰგონია.
- Il est bien aisé à ceux qui sont en bonne santé de donner des conseils aux malades. სხვა სხვის ომში ბრძენიაო.
- Bras malade en écharpe au cou, et jambe malade au lit. ⇒ სნეული მკლავი სახვევეში, სნეული ფეხი ლოგინში.
- Pour le rhume, une cruche de vin. ⇒ გაციებას ჭიქა ღვინო შეველისო.
- Bien malade qui ne se connaît pas. ⇒ ისა ავად ვინც თავს არ იცნობს კარგად.
- Malade, pédant et plaideur, n'ont qu'entretien de malheur. ⇒ ავადმყოფი, პედანტი და მომჩივანი, მხოლოდ უბედურებაზე საუბრობენ.
- Malade et prêt à mourir, souhaite toujours guérir. ⇒ ავადმყოფიც და მომკვდავიც განკურნებას ნატრობენ.
- Malade qui n'a point été, ne sait ce que vaut santé. ⇒ ვინც ავად არ ყოფილა, არ იცის ჯანმრთელობის ფასი
- Ce n'est pas de notre faute si on est malade. ⇒ ჩვენი ბრალი არ არის, თუ ავად ვართ.

ქართული ანდაზები/PROVERBES GÉORGIENS

ახალი/Nouveau

ახალი ცოცხი კარგად გვისო.

Il n'y a rien de tel qu'un balai neuf.

Du nouveau tout semble bon et beau.

Au nouveau tout est beau.

Tout nouveau, tout beau.

De nouveau tout m'est beau.

ახალ კიტრს და ახალ ამბავს ძვირად
ნუ იყიდი, მალე გაიფუტებაო.

⇒ Ne paie pas cher des concombres
de primeur ni des nouvelles
fraîches, leur prix va bientôt baisser.

ფრანგული ანდაზები/PROVERBES FRANÇAIS

Nouveau/ახალი

A cheval neuf, vieux cavalier.

⇒ ახალ ცხენს გამოცდილი მხედარი
უნდაო.

Argent frais et nouveau ruine
jouvenceau.

⇒ ახლადნაშობი ფული ყმანვილ
კაცს დაღუპავსო.

Dans un bon ménage, il ne faut vin
nouveau, bois vert et pain chaud.

⇒ ოჯახს ვინც კარგად უძღვება, შინ
არც ახალ ღვინოს იქონიებს, არც
ნედლ შეშასა და ცხელ პურს.

Le jour d'un nouveau règne est le jour
des ingrats.

⇒ უმადურები ახალი მეფობის პირ-
ველსავე დღეს გამოჩნდებიანო.

Nouveau contrat vaut mieux que
contrat déchiré.

⇒ დარღვეულ ხელშეკრულებას
ახალი სჯობს.

Nouveau vin et ami neuf gagnent en
vieillissant.

⇒ ახალ ღვინოს და ახალ მეგობარს
დრო უკეთესს ხდისო.

Vieille obligation défait nouveau
marché.

⇒ ძველი ვალდებულება არღვევს
ახალ მოლაპარაკებას.

ქართული ანდაზები/PROVERBES GÉORGIENS

ბავშვი/Enfant

ბავშვს სწორი გზა ასწავლე, სიბე-
რემდე გაყვებაო.

Bien travaille qui élève bien son enfant.

ბავშვი ტირილში იზრდებაო.	Mieux vaut souffrir son enfant morveux,
გოჭი წყვირილით და ბავშვი ტირი- ლით გაიზრდებაო.	- Que de lui arracher le nez.
ბავშვს სახრე არ აწყენსო.	
ორი ძიძის შუა ბავშვი დაიხრჩოო	Chez sept nourrices l'enfant sans yeux.
ბავშვი არ დაბადებულყო და აბრამს არქმევდენო.	⇒ On appelait l'enfant Abraham avant même qu'il naisse.
ბავშვის პირით სიმართლე ლაღადებსო	La vérité sort de la bouche des enfants.
ბავშვს ჰკითხეს, რათ სტირიო, გამდის და ვტირიო.	⇒ On demanda à l'enfant pourquoi il pleurait. «Parce qu'on me le permet», répondit-il.
ბავშვი თუ არ ტირის, დედა ძუძუს არ აჭმევსო.	⇒ Si l'enfant ne pleure pas, sa mère ne l'allaitera pas.
ბავშვს კვერს ნუ დაპირდები და თუ დაპირდები, გამოუცხეო.	⇒ Ne promets pas à un enfant une galette. Mais une fois promise, il faut la cuire.
ბავშვი დაასაქმე და უკან გამოუდექო.	⇒ Mets l'enfant au travail et suis-le.
ბავშვი დაასაქმე და დიდო, უკან გაჰყევო.	

ფრანგული ანდაზები/PROVERBES FRANÇAIS

Enfant/ბავშვი

Enfant par trop caressé, mal appris et pis réglé.	შვილი მტრად გაზარდე, მოყვარედ გამოგადგებაო.
Enfants petits, petits soucis; enfants grandis, grands soucis.“	⇒ როცა ბავშვი პატარაა, საზრუნავი მცირეა, გაიზრდება და საზრუ- ნავიც მატულობს.
Enfants sont richesses de pauvres gens/A pauvres, enfants sont richesses.	⇒ ღარიბებისთვის ბავშვები სიმდიდრეა.
Les hommes sont de grands enfants A père avare, l'enfant prodigue.	⇒ უფროსები დიდი ბავშვები არიან ძუნ მამას მფლანგველი შვილი ჰყავსო.
L'enfant et le vieillard aiment qu'on les écoute.	⇒ ბავშვს და მოხუცს უყვართ როცა უსმენენ.

ქართული ანდაზები/PROVERBES GÉORGIENS

ბრძენი, ჭკვიანი/Sage

ჭკვიანი ჩიტი ორთავე ფეხით გაეზა მახეშიო.	Les plus sages faillent souvent en bon chemin.
ჭკვიანი რომ შესცდება – ბრიყვზე უარესია	
სოფელი ღონიერია, თუ კაცი გონიერია.	⇒ Le sage est la force du village.
ჭკუა ხანში კი არა, თავშიაო.	⇒ La sagesse n'est pas dans l'âge, mais dans la tête.
ბრძენი დედა მამის მიმართ შვილსა მტრულად არ გაზრდის.	⇒ Une mère sage élève son fils pour qu'il soit du père complice.
ჭკვიანს ერიდე ბოროტსა, ხიფათი არის ბოლოსა.	⇒ Méfie-toi du sage méchant, le danger te guette.
სანამ ჭკვიანი დაფიქრდა, ცეტმა გარდავლო მთები.	⇒ Pendant que le sage pense, le sot traverse les montagnes.
ჭკვიანისაგან ძაგება გიჯობს სულელის ქებასა.	⇒ Mieux vaut être blâmé par un sage que vanté par un sot.

ფრანგული ანდაზები/PROVERBES FRANÇAIS

Sage/ჭკვიანი, ბრძენი

N'est pas sage qui ne sait quelquefois folâtrer.	⇒ ხანდახან ყველა ბრძენი მოისულელებსო.
Il n'est si grande folie que de sage homme.	ჭკვიანი რომ შეცდება, ბრიყვზე უარესია.
Le sage ne se vêt pas du manteau du vulgaire.	⇒ ჭკვიანი კაცი მდაბიოს სამოსს არ ჩაიცვამს.
Rien de trop: sage outré n'est pas loin d'être fou.	⇒ ზედმეტი არაფერი ვარგა: მეტისმეტად ჭკვიანს შლეგობამდე ბევრი არ უკლია.
Le sage en écoutant devient encore plus sage.	⇒ გონიერი მოსმენით კიდევ უფრო ბრძენი ხდება.
Le sage se corrige en observant les fous.	⇒ ბრძენი შლეგის შეცდომებზე სწავლობს.

- L'intelligence est un bijou, l'ignorance est un caillou. ⇒ ჭკუა სამკაულია, უმეცრება ქვაა.
- A l'homme intelligent un coup d'œil suffit. ⇒ ჭკვიანი კაცი ერთი შეხედვითაც მიგიხვდებაო.
- Un sourd intelligent entend mieux qu'un sot homme. ⇒ ჭკვიანს, ყრუც რომ იყოს, ბრიყვზე უკეთ ესმის.
- La sagesse et le grand avoir sont rarement en un manoir. ⇒ სიბრძნე და დიდი ქონება ერთ სახლში იშვიათად ცხოვრობენო.
- Paix et peu, c'est la devise du sage. ⇒ მშვიდობა და მცირედი, ესაა დევიზი ბრძენი ადამიანის.

ქართული ანდაზები/PROVERBES GÉORGIENS

ბრმა/Aveugle

- ბრმა ქათამს ჰგონია, ყველგან ხორბალი ყრიაო. ⇒ Une poule aveugle voit partout des grains.
- ბრმა ლობეს მიადგა, „– შენს იქით გზა არა მაქვსო“. ⇒ Un 'aveugle s'arrêta devant la clôture: «Impossible de la contourner.»
- ბრმამ ბრმას უთხრა, „ჭიტაო!“ ⇒ Un aveugle dit à un autre aveugle: «Je te vois!»
- ბრმას რა უნდა და – ორთავ თვალის სინათლეო. ⇒ Le seul souhait de l'aveugle est de voir de ses deux yeux.
- ბრმა რას ჩიოდა და – ორთავ თვალსაო.
- ბრმას სინათლე ვერ უშველის და სოფელს – ჭკვიანის დარიგებაო. ⇒ La lumière ne profite pas à l'aveugle, tout comme les conseils du sage au village.

ფრანგული ანდაზები/PROVERBES FRANÇAIS

Aveugle/ბრმა

- Les aveugles ne doivent pas juger des couleurs. ⇒ ბრმას ფერისა რა გაეგებაო.
ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილიაო.
- L'homme est aveugle sur ses défauts, et clairvoyant sur ceux d'autrui. ⇒ კაცს დირე ედო თვალშიო, სხვას კი ბენვს უსინჯავდაო.

- Un aveugle sans bâton est un homme qui n'a pas ce qui lui est le plus nécessaire. ⇒ ბრმა უჯობოდ ის კაცია, ყველაზე საჭირო რამ რომ აკლია.
- Chacun est aveugle dans ses intérêts. ⇒ პირადი ინტერესი ადამიანს აბრმავეებს.
- Quand l'aveugle porte bannière, mal pour ceux qui marchent derrière. ⇒ როდესაც მედროშე ბრმაა, ვაი უკან მიმავალთ.
- Le poulet aveugle trouve aussi du grain ⇒ ბრმა ქათამიც პოულობს საკენკს.

ქართული ანდაზები/PROVERBES GÉORGIENS

გამოუსწორებელი/Incorrigible

- კუზიანს სამარე გასწორებსო. Le brebis bêle toujours de même.
ძალის კუდი არ გასწორდებაო.
- ძალის კუდი ცხრა წელიწადს კალაპოტში იყო, ამოიღეს და ისევ გაიღუნაო.
- გველის კუდს რა გაასწორებს, ხვრელშიც კლაკენით გაიცურებსო.
- ყვავს შევარდნადა ზრდიდნენ და ისევ „ყვას“ იძახდაო.
- ვირს ოქროს ყელსაბამი რომ შეაბა, მაინც ვირი იქნებაო. Ane paré ne laisse pas de braire.
- ვირს უნაგირი განა ცხენად აქცევსო ვირი ვირად რჩებაო
- ვირი ფუნდრუკობას არ მოიშლის არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი A laver la tête d'un âne on perd sa lessive.
- არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა Tête de fol ne blanchit jamais.
- ბაყაყი ხალიჩაზე დააბრძანეს, ისკუპა და ისევ გუბეში ჩახტაო Elève le corbeau, il te mangera les yeux.
- თაგვს ბუმბულში აწვენიდნენ და ის მიწის სოროში მიძვრებოდაო. Les chiens ne font pas des chats.
- გომბიო ბუმბულში დაანვინეს და მაინც „ფუჩიჩი ფუჩიჩი“ იძახდაო. La pomme ne tombe jamais loin de l'arbre.

ჭინჭველას ბუმბულში აწვენდნენ და „ფუჩერფუჩერ“ იძახდაო.

ჭინჭრაქას ბუმბულში აწვენდნენ და „ფუჩერფუჩერ“ იძახდაო.

წყალი ნაყეს, ნაყეს და ისევ წყალი დარჩაო

აპატიეს მელასაო, მოუმატა კბენასაო.

ანწლი არ მოგცემს ყურძენსო.

პანტა ვაშლი გინდა ურუმ ტყეში იდგეს, გინდა – ნაფუზარში, მაინც პანტას გამოიბამსო.

ყორნების ნამრაველიდან ბულბული არ გამოვაო.

ნაბლის გადანაჭერზე წიფელა არ ამოვაო.

ჭინჭრის ალაგზე ჭინჭარი ამოვაო.

ვირის თოფრამ თეირანი მოიარა, მაგრამ ისევ თოფრად დარჩაო.

ვირი ქაბას წავიდა, ისევ ვირად მოვიდაო.

ღორი რამდენიც უნდა ბანო, ისევ ლაფში ჩანვებო.

ფრანგული ანდაზები/PROVERBES FRANÇAIS

Incorrigible/გამოუსწორებელი

- | | | |
|--|---|------------------------------------|
| Un renard change de poil, non de nature. | ⇒ | მელა ბენვს იცვლის და არა ბუნებასო. |
| Un fat se décèle toujours. | ⇒ | ბრიყვი თავს ვერ დამალავსო. |
| Mauvaise herbe croît toujours. | ⇒ | სარეველა მუდამ იზრდებაო. |
| Le loup mourra dans sa peau. | ⇒ | მგელი მგლად მოკვდებაო. |

ქართული ანდაზები/PROVERBES GÉORGIENS

გაზაფხული/printemps

ერთი ენძელა გაზაფხულს ვერ მოიყვანს.	Une seule hirondelle ne fait pas le printemps.
ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო.	
ერთი ყვავილით გაზაფხული არ მოვაო.	
ცხრა მარტს ცხრა მტკაველი თოვლი მოვიდა, შიგ ჯოხი ჩაფლეს და სალამომდე წაიქცაო.	Jamais pluie de printemps ne compte pour un mauvais temps.
იანვრის ქურდი მარტში გამოჩნდებაო.	⇒ En mars, on saura qui a volé en janvier.
ჰაცა, ვირო, ნუ მოკვდები, გაზაფხულზე იონჯა ამოვა და მოძოვეო.	⇒ Âne, ne meurs pas, la luzerne poussera au printemps et tu en brouteras.
მარტი პატარძალია, დღეში სამჯერ მოირთვება და სამჯერ მოილუშებაო.	⇒ Mars est une mariée, elle se fait belle trois fois par jour et s'assombrit trois fois par jour.
მარტი წინ რომ გექნება, ზამთარს ნურც აქებ და ნურც აძაგებო	En avril, ne te découvre pas d'un fil. En mai, fais ce qu'il te plaît.

ფრანგული ანდაზები/PROVERBES FRANÇAIS

Printemps/გაზაფხული

Sème dans la poussière en automne, en Mars dans la boue.	⇒ შემოდგომაზე მტვერში თესე და მარტში ტალახშიო.
A mi-mai, queue d'hiver.	⇒ ზამთრის კუდი შუა მაისში გამოჩნდებაო.
À Saint-Valentin, le printemps est voisin.	⇒ წმიდა ვალენტინის დღიდან გაზაფხული შორს არ არის.
Au printemps tous les coqs sont maigres.	⇒ გაზაფხულზე ყველა მამალი გამხდარია.

ქართული ანდაზები/PROVERBES GÉORGIENS

გამოცდილება/experience

ძველმა ახალი იცისო.	L'expérience est le meilleur guide. On a toujours besoin autour de soi de personnes plus expérimentées. A jeune cheval vieux cavalier.
ბევრის მცოდნე ბევრჯერ შეცდებო.	Il n'y a personne qui ne se trompe.
ძველი კაცის ნათქვამი ხშირად არის მართალი.	Vieux bœuf fait le sillon droit.
ბებერი ხარის რქებიც ხნავსო.	
სწავლა და გამოცდილება პირბასრი იარაღია.	L'expérience est un long chemin et une coûteuse école.
ყველა საკუთარი გამოცდილებით სწავლობსო.	Expérience fait le maître.
ერთი გამოცდილება ათ სიბრძნეს სჯობიაო.	Expérience passe science.
დალაქმა ხელობა ჩვენს თავებზე ისწავლაო.	En forgeant on devient forgeron.
მწარე თუ არ გიჭამია, ტკბილს გემოს როგორ გაუგებო?	⇒ Comment apprécier un goût sucré si on n'a jamais rien goûté d'amer?
ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მამინ გამოჩნდება.	⇒ On ne voit le chemin que quand la charrette se renverse.

ფრანგული ანდაზები/PROVERBES FRANÇAIS

Experience/გამოცდილება

L'expérience des pères est presque toujours perdue pour les enfants.	⇒ მამების გამოცდილება თითქმის ყოველთვის დაკარგულია შვილებისათვის.
Expérience corrige, expérience est mère de science.	⇒ გამოცდილება ასწორებს შეცდომებს, გამოცდილება მეცნიერების დედაა.
Faute d'expérience et d'usage cause le jeune n'être sage.	⇒ ახალგაზრდას სიბრძნე აკლია, რადგან არც გამოცდილება აქვს და არც ჩვევა.

ქართული ანდაზები/PROVERBES GÉORGIENS

განკითხვა/Jugement

საკუთარ თვალში სარს ვერ ხედავს, სხვის თვალში კი ბენვს ეძებსო. კვერცხის გულში ბენვს ეძებსო. მის თვალში დირეს ვერ ხედავს, სხვის თვალში ბენვს ამჩნევსო.	On voit la paille dans l'œil de son voisin, mais pas la poutre dans le sien:
ქურდმა ერთი ცოდვა ქნაო, დამბრა- ლებელმა (დამკარგავმა) – ათასიო.	On jette des pierres dans son jardin et on accuse son voisin.
ზურგთ უკან ხელმნიფესაც უძრახავენ.	⇒ On juge même le roi derrière son dos.

ფრანგული ანდაზები/PROVERBES FRANÇAIS

Jugement/განკითხვა

Le riche et le mendiant seront égaux au jour du jugement.	⇒ მდიდარი და მათხოვარი თანას- ნორნი იქნებიან განკითხვის დღეს.
Mauvais accord vaut toujours mieux, qu'un jugement litigieux.	⇒ ცუდი შეთანხმება ყოველთვის უკეთესია, ვიდრე სადავო გადანყვეტილება.
Donnez votre approbation avec jugement, si vous voulez qu'on vous en sache gré, et recevez celle des autres avec modestie.	⇒ განსაჯეთ და ისე მოიწონეთ, მადლიერი რომ დაგიჩინენ და მიიღეთ სხვების მოწონება მოკრძალებით.
Il vaut mieux parler toujours avec jugement, que de briller dans un temps, et de parler mal à propos dans un autre.	⇒ ჯობია ყოველთვის მსჯელობით ისაუბრო, ვიდრე ერთ დროს ბრწყინავდე და სხვა დროს უადგილოდ ისაუბრო.
Tel juge, tel jugement.	⇒ რაც მოსამართლეა, განაჩენიც ის იქნება.
Quand l'animal est mort tout le monde lui jette la pierre.	⇒ ნადირი რომ მოკვდება, ყველა ქვას ესვრისო.

ქართული ანდაზები/PROVERBES GÉORGIENS

განუკითხაობა/Désordre

უძაღლო ქვეყანაში კატას აყეფებდნენო.	Absent le chat, les souris dansent. Le chat parti, les souris dansent.
უძაღლო ქვეყანაში კატას აჩხავლებდნენო.	Quand le chat est hors de la maison, souris et rats ont leur saison.
ერთ სოფელში ძაღლი არ იყო და კატებს აჩხავლებდნენო.	
ბრმათა შორის ცალთვალიო, არს პირველი სარდალიო.	Aux pays des aveugles, les borgnes sont rois.
ბრმათა ქვეყანაშიო ცალთვალი ორთვალობდაო.	Dans la brume tout le monde est pilote.
ბრმათა ქვეყანაში ბრუტიანი თვალიანობდაო.	
ბედაურები დაწყდაო, ვირს მოედანი დარჩაო	Faute de bœuf -contente-toi d'un âne.
თეირანს ქალი არ იყო, ვირს ვარდისახარს ეძახდნენო.	⇒ Faute de femmes à Téhéran, l'âne s'appelait Vardisakhar.
უთევზო ქვეყანაში კიბოს თევზს ეძახდნენო.	⇒ Dans un pays sans poissons, on prenait le crabe pour un poisson.
უპურო ქვეყანაში ქერი პურად მოიმკებაო.	⇒ Dans un pays où il n'y a pas de blé, l'orge en fait office.
ერთ ქვეყანას, სხვა რომ ვერავინ ნახეს, ვირი ყადად დააყენეს.	⇒ Dans un pays, faute de trouver un homme convenable, on a fait de l'âne le juge.
როდესაც მეძებარი დაუძღვრდება, კურდღელი თავისუფლად დაიწყებს ბოსტანში სიარულსო.	⇒ Lorsque le chien de chasse s'affaiblit, le lièvre s'introduit sans peine dans le potager.
უპატრონო ცხენზე ვინ არ გადაჯდებაო.	⇒ On enfourche volontiers un cheval qui n'appartient à personne.

ფრანგული ანდაზები/PROVERBES FRANÇAIS

Désordre/განუკითხაობა

Faute de grives on mange (on prend) des merles.	⇒ სადაც ნაცარა ჩიტი არ არის, შაშვს ჭამენო.
--	---

ქართული ანდაზები/PROVERBES GÉORGIENS

გაფლანგვა/Gaspiller

ფლანგვით თუ იცხოვრე
ახალგაზრდობისას, შიმშილით
მოკვდები სიბერისას.

On perd en peu d'heures ce qu'on a
gagné en longtems.

მთელ დღეს მოქეიფესა არა
დარჩა – რა ვახშმადო.

A grasse cuisine pauvreté voisine.

ფრანგული ანდაზები/PROVERBES FRANÇAIS

Gaspiller/გაფლანგვა

L'épée et l'argent demande de
bonnes mains.

⇒ ხმალსა და ფულს საიმედო ხელი
სჭირდებაო.

Selon ta bourse gouverne ta
bouche.

ფეხი იმდენზე გაჭიმე, რამდენზეც
საბანი გაგწვდებაო.

ქართული ანდაზები/PROVERBES GÉORGIENS

გველი/Serpent

გველად დაბადებული სიკვდი-
ლამდე გველი იქნებაო.

Le serpent est la bête du diable et du
mal.

გველმა კანი გაიძრო, მაგრამ
შხამი გველისა შერჩაო.

გველი პერანგ გაიძრობს, თვარა
ისევ გველი დარჩებაო.

გველმა პერანგი გაიძრო, გული
იგივე დარჩაო.

გველი მკდარი შეგხვდეს, მძინარი
თუ მღვიძარი, მაინც მოერიდე,
შორი გზიდან მოუარეო.

Il n'y a si petit serpent qui ne porte son
venin.

გველზე მწარედ კაცი გიკბენსო.

⇒ La morsure de l'homme fait plus de
mal que celle du serpent.

გველი არ უკბენს გველსაო.

Les loups ne se mangent pas entre
eux.

გველი გველია, მარა, მისი შხამი
წამალიაო.

⇒ Le serpent mord, mais son venin
guérit.

გველი უჩუმრად გიკბენსო.	⇒ Le serpent vous mord silencieusement.
გველის იარას გველი მოარჩენსო. გველის ნაკბენს ისევე გველი მოარჩენსო.	⇒ La morsure d'un serpent ne guérit que grâce à un autre serpent.
გველის ნაკბენი მწარეა, არ მორჩებაო.	⇒ La morsure d'un serpent fait très mal, elle ne guérit pas.
გველმა იცის, ვის უკბინოსო.	⇒ Le serpent sait qui mordre.
გველს არ ენდო, შხამს უჩუმრად შეგასხამს და მოგკლავსო.	⇒ Méfie-toi du serpent, il t'envenimera en sourdine et te tuera
გველს თუ ფეხი არ დააბიჯე, არ გიკბენსო.	⇒ Si tu ne lui marches pas dessus, le serpent ne te mordra pas.
გველსაც უყვარს მისი შვილებიო.	⇒ Même le serpent aime ses petits.
მძინარე გველს თავზე ფეხს ნუ დაადგამო.	⇒ Ne marchez pas sur la tête d'un serpent endormi.
მძინარეს გველიც არ უკბენსო.	⇒ Même un serpent ne mord pas un homme endormi.

ფრანგული ანდაზები/PROVERBES FRANÇAIS

Serpent/გველი

Rencontrer un serpent et pouvoir le tuer, présage de bonheur.	⇒ გველი თუ შეგხვდა და მოკალი, კარგის მომასწავებელია.
Rencontrer un serpent sans pouvoir le tuer, présage de malheur.	⇒ გველთან შეხვედრა მისი მოკვლის გარეშე, უბედურების ნიშანია.
La rencontre d'un serpent est un mauvais présage.	⇒ გველთან შეხვედრა ცუდი ნიშანია.
La femme a le bec de la pie, et le dard fourchu du serpent.	⇒ ქალს კაჭკაჭის ნისკარტი და გველის ორკაბი ენა აქვს.
Le serpent est caché entre les fleurs et l'herbe.	⇒ გველი ყვავილებსა და ბალახებს შორის იმალება.
Qui femme prend, le serpent au cœur lui vient.	⇒ ვისაც ცოლი მოჰყავს, გულში გველი შემოჰყავს.
Le serpent nourri au sein, paye le service de venin.	⇒ უბეში ნაზარდი გველი სამაგიეროს შხამით მოგიზღავსო.
Tel ressemble à une anguille qui est serpent venimeux.	⇒ შხამიანი გველი გველთევზას ჰგავსო.

ქართული ანდაზები/PROVERBES GÉORGIENS

დრო/Temps

ყველაფერს თავისი დრო აქვსო. დრო არის შექცევა სჯობია, დრო არის – გაქცევა.	Ni tôt ni tard, mais viens à l'heure. Chaque chose n'a qu'un temps. Il y a le temps pour l'âne et le temps pour le meunier.
დრონი მეფობენ და არა მეფენიო. ჟამი ბატონობსო.	Le temps se change en bien peu d'heure, tel rit le matin qui le soir pleure.
ყველაფერი დროს ელის, დრო კი – არაფერსო.	⇒ Tout attend son temps et le temps n'attend rien.
